


საქართველოს
საბჭოთაო
საქართველო

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსიან კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართთვის. (იოან. 10—11).
ვაოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
მოველით ჩემდა ყოველნი მაშურაღნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 3-4

1883-1892

1—29 თებერვალი.

გ ა ზ ე თ ი ს თ ა ს ი :

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვეით	5 მან.	12 თვეით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *sz Kevylasy, Въ редакцію „Мукემси“ и „Пастырѣ“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


ჩვენი დროის მუქთამჯამლები.

ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია ჩვენი მკითხველების და მთავრობის ყურადღება იმ მანებელ და საეჭვო პირებზე, რომელნიც სცხოვრობენ მარტო სხვისი შრომით. ეს პირნი მოდიან ჩვენში სპარსეთიდან, პალესტინიდან და ზოგნიც ათონიდან; ამათგან ზოგნი მღვდლებად უწოდებენ თავიანთ თავს, ზოგნი მთავარ-ღიაკენებად და ზოგნიც ბერებად. ხელთ აქვსთ ზილეთები, რომლებშაც მოხსენებულია, რომ

ისინი არიან მღვდლები, მთავარ-ღიაკენები ანუ ბერები წმ ადგილებიდან, ანუ აისორები, რომელნიც გაუცარცვავეთ და აუკლიათ თათრებს და ქურთებს და იძულებულნი განხდარან გადმოსახლებულიყვნენ სპარსეთიდან.

ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქცია ოფიციალურმა გაზეთმა „კავკაზი“—მაც, რომელიც ერთს თავის შენიშვნაში აი რას მოგვითხრობს ამ მუქთამჯამლების შესახებ:

«ჩა ერთხელ იყო შენიშნული, რომ მკაცლანი პირნი მოდიან ჩვენში სათათრეთიდან და სპარსე-



თიღვან, იგინი სატკებლობენ ჩვენი მდაბაო ხალხის საწმენოების მოყვარობით და გულ-უგურობით და ხელს ჰკიდებენ სამარტვანო ხელახას. ეს შიანი მოდიან კავკასიის მოსახლევე გუბერნიებში, თითქო და რაიმე სამუშაოს საშოვნად, აქ ადგილობით გუბერნიის მთავრობათაგან იღებენ წლიურ ბილეტებს ამ ადგილებში საცხოვრებლად და ჩვენს მხარეში თავისუფალი მსკლელობისათვის, შემდეგ იტმენ სამედიკალო ტანთ-საცმელს, თან ნაგულები აქვს ხატები და სხვა წმ. ნიკთები, უაღბი სიგელები, რამქლინიც, თითქო, ბოქბუხნი აქვს მათ სამსლგარ-გარეთის მღვალე-მთავრებისგან რაგორც სასულიერო შირთ. და აქვს შეწირულებათა შესარტებელი წიგნები და თავისუფლად ჰტკებენ შეწირულებათ ქრისტიან წმ. სასაფუაოს, ბეთლემის, თაბორის, ზალესტინის და სხვა წმ. ადგილების და ან თავიანთ სასარტებლოდ, და ყველას არწმუნებენ, რამ იგინი გარტვან და აიკლას თათრებმა, ქურტებმა და სხვათა; ზოგნი არწმუნებენ ხალხს, რამ იგინი გამოგზავნილნი არიან იერუსალიმის შატრანტვისგან შეწირულებათა შესარტებლად, ამგვარად ატუებენ ჩვენს ხალხს და სტუებენ მათ ფულებს და ალაგ საღმართო მსახურებასაც არტულებენ. თუწა გარტე შექეთა სამინისტრომ სხვა-და-სხვა დროს მოახდანა ტარტული განტარტულება, რამ შოლიტის სასტავი ურადლება მაქტვა ამ მატუერა შარტებასათვის, მაგრამ შოლიტის დაუდგენლობით ეს შარნი დეკსაც თავისუფლად მოგზავრტბენ ჩვენში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის სოფლებში და ჰტკებენ შეწირულებათ წმ. ადგილების და თავის სასარტებლოდ. ამ სამარტვანო და მანებელი მოკლენას მოსახლად კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მასწრა ჰქედება და წესებულებათ, რამ მათ თავის მხრით გამოცხადებიათ სოფლის ურადლობისათვის მართლ-მადადებულთა სოფლებში და აესნათ, რამ წმ. ადგილებს სასარტებლოდ შეწირულებათა შეტრება სასტავად აღეკრძალებათ იმ შირთ, რამქლინიც არა აქვს ზოგნი გაუჩილი და დამწმენული წიგნები, მიტმუნნი უწმ. სინოდისგან. არტუთვე აღეკრძალებათ შეწირულებათა შეტრება ყველა იმ შირთ, რამქლინიც თავს უწოდებენ უცხოეთის მღვალეთ—თუ მათ არ ექნათ ნება-რტვა უწმ. სინოდისგან უცხოეთადგან რტესთში შემარტვლისა; ყველას იმ შირნი, რამქლინიც არ ექნათ ეს საჭირო საბუთები, არიან მატუერა, რამქლინიც უსა-

თუოდ უნდა შეიზურტონ; კარდა ამისა სმარტეთის და სათათრეთის ჰქეშეკრდომით ჩვენს მხარეში საცხოვრებელი ბილეტები უნდა ემღეოდეს დიდას სიფრტხილით, და დღეის შემდეგ აღარ მიეტვსთ ჩვენს მხარეში საცხოვრებელი ბილეტები უცხოეთის სამღვალეო შირთ ყველა აღსარტებისას, თუ ამარტე არ ექნება გამოთხრტნილი უმაღლესი მთავრობისგან ნება-რტვა, თანახმად მოქმედ კანონთა».

ჩვენ ჩვენის მხრით უნდა ვსტქვათ, რომ ამ სამარტვანო ხელობას ხშირად ხელს ჰკიდებენ ურტიბიც, რომელნიც სარტებლობენ ჩვენი მდაბიო ხალხის გულუბრყვილობით. ეს პირნი ჰტრებენ ფულებს და შემწირველთ ჰპირდებიან, რომ მათი გარდაცვალებულნი მოხსენებულ იქმნებიან მონასტრებში და წმიდა ადგილებში. ამ პირთა საზიზლარ მოქმედებას მხოლოდ მაშინ ტყობილობს ხალხი, როცა მათი კვალიც აღარ მოინახება ჩვენში. რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? ყველამ ვიცით, რომ ქრისტიანობა ითხოვს, რათა მოწყალება აღმოუჩინოთ ჩვენს მოყვასს ყოველს მის გაჭირვებაში. და ყოველი ქრისტიანიე კაციც მტკიცედ ასრულებს ქრისტეს მტნებას და მხად არის შეძლების და გვარ შეწიოს გაჭირებულს თავის და თავის გარდაცვალებულთა სულის საოხად. ამ საზიზლარმა პირებმაც კარგად უწყიან ჩვენი ხალხის ასეთი თვისება, და ყოველს შემთხვევაში მხად არიან სხვა-და-სხვა ხრიკებით ორი გროში გამოსტყუონ ხალხს თავის ჯიბის სასარტებლოდ.

ეს უცხოეთიდგან მოსულნი პირნი, რომელნიც ამ სამარტვანო ხელობით ირჩენენ თავს, ხშირად შეწირულებათა შეტრებითაც არ კმაყოფილდებიან: იგინი ხშირად უფრო საძაველს საქმეებსაც ჩადიან. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ მიყრუებულს ადგილებში ეს პირნი აშინებენ ხალხს და ძალაუნებურად გლეჯენ ფულებს და ხან სრულიად ცარტვენ მცხოვრებთ.

საჭიროა, რომ მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაცციოს ამ გაიძვერა და მატყუარა პირთ, საჭიროა აღეკრძალოს მათ ჩვენს ქვეყნებში შემოსვლა და თავისუფლად სეირნობა, და ეს საზიზლარი მოვლენა თავისთავად მოისპობა და მცხოვრებნიც მოისვენებენ ამ მატყუარა პირთაგან.

მაგრამ ამ სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან მოსულ მაწანწალა პირთაგან კიდევ როგორმე შეიძლება თავი

დაეფაროთ და განეთავისუფლოდეთ, მაგრამ რა ვუყოთ მათ, რომელნიც მოდიან არა სპარსეთიდან, სათათრეთიდან ათონიდან და პალესტინიდან, არამედ ჩვენი ხორცთაგანი არიან, ჩვენთან ერთად სცხოვრებენ და მოქმედებენ? ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ჩვენ თანამედროვე მუქთამჭამლებზე, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. ეს არიან ისინი, რომელნიც ერთდებიან ყოველივე შრომას, დაზარალებულან და მისჩვევიან მუქთამჭამლობას. ეს ისინი არიან, რომელნიც უსინდისოთ ჰყლაპვენ სხვის ქონებას და ამ სახით საქმეს უჭირებენ საზოგადოებას. მათი უსინდისო მოქმედება მით უმეტეს საზიზღარია, რომ მათ თავის შრომით შეუძლიათ იცხოვრონ. არავინ იფიქროს, ვითომც ჩვენ სახეში გვეყავდეს ნამდვილი გლახები, ბრმანი, დავრდომილნი, გონებასა არა სრულ-მყოფნი და სხვა გაჭირებულნი, რომელთაც თავის შრომით არ შეუძლიათ ცხოვრება, და რომელთა ხელის-გაწყობას და შემწეობას გვიბრძანებს თვით ქრისტე. არა; ჩვენ სახეში გვეყავს ის პირნი, რომელნიც სრულიად ტანმრთელნი არიან და შრომაც შეუძლიათ, მაგრამ რომელთაც დაუკარგავსთ ყოველივე კაცური გრძობა, თავმოყვარება, და რომელნიც უსინდისოდ გიშვერენ ხელს შემწეობისათვის, იმ ხელს, რომელსაც შეუძლია არჩიოს არა მარტო ის, არამედ ორი სამი მისთანა. რამდენათაც ჩვენ დავაკმაყოფილებთ მათ უსინდისო და საზიზღარს მოქმედებას, მით უფრო გავამრავლებთ მათ რიცხვს და ისინი მძიმე ტვირთად დააწვებიან საზოგადოებას. ამაში ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე, რადგან ვაუკითხავად ვსცემთ მოწყალებას. მაგრამ დღეს ძნელიც არის გაარჩიოს კაცმა ნამდვილი გაჭირებული მუქთამჭამლებისაგან, ამიტომაც ჩვენ უფრო სიფრთხილით უნდა ვიქცევოდეთ. მუქთამჭამლებს შებრალების მაგიერ სასტიკად უნდა ვეპყრობოდეთ, რომ ამით გამოვაფხიზლოთ ისინი და ხელი მოვაკიდებინოთ საქმეს.

ამ მხრივ სწორედ მადლობის ღირსია ქალაქ თბილისის პოლიციის უფროსი, პატრივცეპული მასტიცი, რომელიც ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ მუქთამჭამლები გაარჩიოს ნამდვილ გაჭირებულთაგან. ნამდვილ გლახაკთა და გაჭირებულთათვის მან დაარსა თავშესაფარი სახლი თბილისში. ამ სახლში

შეუძლიათ გლახაკთ შემწეობის მიღება და ქუჩა-ქუჩა ხეტიალი სასტიკად აღკრძალული აქვს. ძალიან კარგი იქნება, თუ ბ. მასტიციის სამაგალითო საქმეს მიბადვენ სხვა ქალაქებშიაც.

დკ. დ. ღამბაშიძე.



მკითხველთა და მკალობელთა საუკუროდებოდ.

(რუსულიდან).

ჩაქებდე უფალსა ცხოვრებასა ჩემსა, უგალობდე ღმერთსა ჩემსა, ვიდრემდის ვიყო მე. (ფსალ. 103—მუს. 38).

იგალობდით ღმერთსა ჩვენსა, უგალობდით, უგალობდით მეუფესა ჩვენსა უგალობდით. რამეთუ მეუფე არს ყოვლისა ქვეყანისა ღმერთი, უგალობდით მას მცნოებით. (ფს. 46,—6—7).

ისმინეთ, მართლ-მადიდებელნი მკითხველნი და მკალობელნი, იგულისხმეთ და ერთად წმ. დავითისთანა უგალობდით ღმერთსა ჩვენსა, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა და ყოველივე, რაიცა არს მას შინა და ისე შეიყვარა სოფელი ესე, რომ ძე თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს მისი, არა წარწყმდეს, არამედ აქენდეს ცხოვრება საუკუნო. (იოან. 3—16). ღმერთსა ამას უნდა უგალობოთ და მისდამი ყურადღებით აღაღვლინოთ ლოცვა, თხოვნა, მადლობა და დიდება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სამგალობლო ადგილზედ საქმე თქვენი არის წმიდა, ხოლო ვალდებულება თქვენი უდიდესი და განსხვავებული. საქმე თქვენი წმიდაა, ამისათვის რომ მუშავებთ უფლისადმი, ხოლო უფლისათვის გმართებთ იმუშავოთ კეთილ კრძალულებით; ვალდებულება თქვენი მაღალი და საღმრთოა, რადგან იგი მდგომარეობს მასში, რათა თქვენ, სულიერთა ფსალმუნთა და საგალობელთა შინა თქვენი კითხვა-გალობით უქადაგებდეთ სიტყვასა ღმერთისასა ერსა და ძმთა, რომელთათვის ქრისტემან შესწირა თავი თვისი მსხვერპლად, და თქვენ თქვენი

პირითა და ერთა ტაძარში მდგომარე მლოცველთა მაგიერათაც უნდა აღავლინოთ ლოცვა ღვთისა მიმართ.

აი რას ამბობს ამაზედ მოცაქული, რომლის სიტყვებს თქვენ ხშირად ჰკითხულობთ: და საიტყუა იგი ქრისტესი დაძვედრებულ იუან თქვენთანა მდიდრად და უფლებათა საბრძნითა სწავლებლით და მოძღვრებით თაგთა თქვენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულეიკრითა მადლითურთ უგალობლით გუფთა შინა თქვენთა უფალსა (კოლას. 3, —16).

ნუ დავიფიქრებთ, რომ ჩვენ, ეკლესიის მოსამსახურენი, ვიკრიბებით ხოლმე წმ. ტაძარსა შინა არა მარტო იმისათვის, რომ დაწესებული ლოცვები, ფსალმუნნი და საგალობლები უფლისხმოდ აღვასრულოთ, არა; ჩვენ ვიკრიბებით და ჩვენთან ერთად ხალხი წმ. და დიდი საზოგადო საქმის დაცვისათვის. ამიტომ უწინარეს ყოვლისა ჩვენ, წინამდგომნი ეკლესიასა შინა, მღვდელნი, მკითხველნი და მგალობელნი მოვალე ვართ ვილოცოთ გულსხმიერად და კეთილ-კრძალულებით. ჭეშმარიტა ლოცვა იქნება მხოლოდ ის, როცა ჩვენ, მკითხველნი და მგალობელნი, ჩვენი ბავით აღვაფლენთ გულსა და გონებასა ღვთისა მიმართ ისე, თითქო ცხადათ ვემუშაოფებოდეთ უფალსა ყოვლისა მპყრობელსა. მაგრამ ეს კი მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წმ. ტაძარში ვმუშაკობთ ღვთისათვის და ვმუშაკობთ არა მხოლოდ ჩვენი თავისათვის, არამედ ყველა ტაძარში მდგომარე ერთათვის, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ხშირად ისე აჩქარებით და უფულისხმოდ ვკითხულობთ და ვგალობთ, რომ მხოლოდ ერთი ღვთისა მგტი არა ისმის რა ეკლესიაში. ზოგიერთი მკითხველ-მგალობელთაგანნი, რომ უფრო მალე გაათავოს ღვთისმსახურება, გალობის დროს საიდუმლოდ ჰკითხულობს მხოლოდ მისთვის, რომ ეკლესიური ტიბიკონის წესი არ დაარღვიოს, თითქო ყველაფერი წაკითხულია გამოუკლებლად. ასე უნდა ვიმუშაკოთ უფლისათვის? ეს არის ჭეშმარიტი ლოცვა? ამისთანა ლოცვა, არა თუ სასიამოვნო არის უფლისათვის, არამედ უმეტესად განარისხებს მას და ამისათვის ჩვენი უყურადღებობა მიგვიყვანს ჩვენ წარწყმედასა შინა. ჰაი ამისთანა ლოცვაზედ რას ამბობს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: მასწავლებელ ანს ჩემდა კრი კსე, შინითა მათითა და ბავითა მათითა ჰსტივის

მტემს მე. ხოლო გუფნი მათია შოკს განშოკრებულ ანან ჩემგან, ამაჟოდ მსახურებენ მე. (მათ. თავა 15, მუხ. 8-9).

უკეთუ ჩვენ, წინამდგომნი, ასე უყურადღებოთ მივიქცევით ღვთისადმი, მარტო ბავითა და ერთ პატივს-ვცემთ უფალს, ხოლო გული ჩვენი განშორებულ იქნება მისგან, თვითონ თქვენ გასაჯეთ, რას ისწავლიან ჩვენგან უმცროსნი ძმანი? ნუ თუ არ გაუგრილდებთ მათთაც გული ჩვენზე და წმ. ეკლესიაზე? ვაი ჩვენ, უკეთუ დავიფიქრებთ, რომ მუშაკნი ვართ ღვთისადმი, და საქმესა ღვთისასა ვასრულებთ უყურადღებოდ და მაცდუნებელად ჩვენთა უმცროსთა! მოცაქული პავლე გვეუბნება ჩვენ: ნუ სტვებით, ღმერთი ანა შეუჭრაც იქმნების, რამეთუ რაიცა იგი სთესოს კატმან, იგიცა მოამკას (გალ. 6, მუხ. 7). წინასწარმეტყველი იერემია ამბობს: წყეულ იუან კაცი, მოქმედა საქმესა უფლისასა უფებებით (48-10).

ესეთი წყევა პირველად ხედება მღვდელს, როგორც ქრისტეს ეკლესიის მწყემსსა, რომელიცა ქრისტემან მოიყიდა სისხლითა თვისითა, და ხედება მას, ვითარცა ეკლესიის უფროსს. უკეთუ იგი, როგორც მღვდელი, ღვთის-მსახურებას ასრულებს უყურადღებოდ და არ უყურებს მკითხველთ და მგალობელთ, არ მოაგონებს მათ და არ უჩვენებს, თუ როგორ უნდა იმუშაკონ მათ ღვთისადმი. დაბოლოს იგივე წყევა ხედება თვით მკითხველებს და მგალობლებს, თუმცა იგინი არ იზრუნენ, რომ საქმე ღვთისა ჰყონ კეთილმოწიწებით, და არც მღვდელს გაუგონებენ იგინი, შეურაცხყოფენ მას და წინააღმდეგობას უჩვენებენ თვით წმ. ტაძარში. ვისდამიცა ბევრია მიცემული, მან უფრო ბევრი მოეთხოვება, და ვაი ჩვენ, წინამდგომთა ეკლესიასა შინა, უკეთუ ჩვენ დავიფიქრებთ ჩვენს წმიდა საქმეს! მაგრამ უფალი სულგრძელ და მრავალ მოწყალეა და გვიხსნის ჩვენ სძიმე პასუხისგებისაგან, მისის მართლ-მსაჯულებით სამსჯავროსა შინა, შთაგვაგონებს და შეგვეწევა ჩვენ ვიმუშაკოთ მისდამი შიშითა და წმიდა საქმე მისი ტაძარში აღვასრულოთ კეთილმოწიწებით საცხოვნებელად ჩვენდა და ერთა.

ამის ღირსნი რომ გავხედოთ ქრისტეს მიერ, რომელმანც იენო ჩვენთვის, მკითხველებმა და მგალობლებმა უნდა დაინახსოვრონ და სიყვარულით აღასრულონ საქმენი ესე ღვთისანი:



1) ყოველივე ეკლესიური სამსახური და მღვდელ-მოქმედება აღასრულე ეკლესიური ტიბიკონისამებრ უკლებლად, კეთილმოწიწებით და გონიერად; იკითხე და იგალობე გასაგებად და აუჩქარებლად; უმთავრესად ნუ ჩქარობ, როდესაც კითხულობ წმ. ლოცვებს; ვინ მოგდევს? სად მიეჩქარები? ნუ თუ შენ გენანება, რომ ერთი საათი კვირაში შესწირო უფალს, გულისხმიერი და ბეჯითი ლოცვით? დაფიქრი, ნუ არისნებ უფალს, ნუ ამბობლებ ლოცვებს, ნუ აცდენ ხალხს და ნუ ჩქარობ.

2) იკითხე ხოლმე ისე, რომ შენვე გაიგო, რას კითხულობ და ყოველივე წაკითხული ლოცვები და ფსალმუნები გამსჭვალოს შენს გულში ისე, რომ თითქო ლოცვილობდე არა მარტო ბავითა და ენითა.

3) შენს შემდეგ ნუ დაიფიყებ ხალხს, რომელიც სდვას ტაძარში; იკითხე ისე, რომ ხალხმაც გაიგოს და შენთან ერთად მანაც ერთითა პირითა და ერთითა გულითა ილოცოს და აღიდოს უფალი, რომლისათვისაც ჩვენ ყველანი ვიკრიბებით ეკლესიაში.

4) უკეთუ შენ ცუდათ კითხულობ, ნუ იქმნები მცონარე, ოჯახში მოემზადე საღმრთო წერილის კითხვაში, რომ ღვთის-მსახურების დროს ყოველთვის შეგძლოს კითხვა კრძალულებით თავისუფლად, ცხადათ და ყველასათვის გასაგონად.

5) როდესაც სხვა ვინმე ჰკითხულობს და სცდება, ხმამალლა ნუ გაუხწორებ მსახურების დროს, რადგან ამით ხალხის ყურადღებას ლოცვისადმი შეარყევ, უმჯობესია შენიშნო თვითონ და შემდგომ მსახურებისა აშხილო იგი კერძოდ.

6) რომელნიც სუსტად კითხულობენ, მათ ნება არ უნდა მისცე ეკლესიაში კითხვისა, სანამ იგინი შინ არ შეეჩვევიან კარგათ კითხვას.

7) ღვთის მსახურების დროს არ უნდა ახველებდე ხმამალლა ეკლესიაში, არც უნდა ილაპარაკო და არც არავინ სიცილი უნდა გაბედოს; თუ თქვენ, მკითხველნი და მგალობელნი დაიწყებთ სამგალობლო ადგილზედ მუსაიფს, სიცილს და ყოველგვარ ხმაურობას, მაშინ როგორღა ილოცავს ხალხი, რომელიც შეკრებილია თქვენთან ერთად ილოცოს?

8) უკეთუ ღვთის-მსახურების დროს შეგხედეს რაიმე საჭიროებისათვის ეკლესიაში გავლა, ნუ აჩქარდები, ნუ დაეტაკები ხალხს და უმთავრესად ნუ

დააბრახუნებ ეკლესიაში ფეხებს, გაიარე წყნარად, მშვიდათ და კეთილ-კრძალულებით, რომ შენგან ხალხმაც ისწავლოს, თუ როგორ უნდა გაიაროს და დადგეს იგი ეკლესიაში ღვთის-მსახურების დროს.

9) ვცადე უფალობდე უფალსა მეცნიერებით და წმ. გულით, ასე რომ შენმა გალობამ გამსჭვალოს ხალხის გული და აღძრას მათში მხურვალე ლოცვა.

10) იგალობე ისე, რომ შეიძლებოდეს სიტყვების გაგონება, ნუ ჩქარობ.

11) გალობის კილოს ნუ გამოცვლი ხოლმე შენს ნებაზე; დღეს ერთს საგალობელს გალობ ასე, ხვალ-კი იგივე საგალობელს იმავე კილოზედ სხვანაირად, რაიცა ყურთასმენისათვის სრულებით სასიამოვნო არ არის.

12) იკითხე და იგალობე ყოველთვის ერთ-ნაირ კეთილმოწიწებით და გულმოდგინებით, თუ გინდ ბევრი ხალხი იყოს ტაძარში, თუ გინდ ცოტა და კიდევ რომ სრულიადაც არავინ იყოს, გარდა მღვდლისა, შენსა და მყარაულისა, რადგან რომ შენ მუშაკობ ღვთისადმი და არა ხალხისადმი. სულიერი ფსალმუნითა და გალობითა შენ უწოდებ ხალხს ღვთისადმი და ასწავლი მათ იცხოვრონ ღვთაებრივად, ხოლო უკეთუ რომელიმე შემთხვევისა გამო ხალხი სრულიად არ იყოს ეკლესიაში, შენ მაინც მათთვის იმუშაკე ღვთისადმი შიშითა და კეთილ-კრძალულებით.

13) უკეთუ იზოვება ვინმე, რომელთანაც შეგიძლია ისწავლო კარგი გალობა, ნურასოდეს ნუ იქმნები მცონარე და ნუ დასცინი მცოდნე პირების კეთილ რჩევას.

14) უპირატესმა მღვდელმა როდესაც გიჩვენოს რომელიმე შცკდომა და ნაკლულევენება, ნუ გაჯავრდები და ნუ ეწინააღმდეგები მას, არამედ გაუფონე, გაისწორე და მოთმინებით მიიღე ყოველგვარი მისი შენიშვნა და საყვედური სამსახურისამებრ; იგი მოვალეა გიჩვენოს ყოველივე ესე და უკეთუ არ გიჩვენა, თვითონ ჩავარდება პასუხისგებაში.

15) საზოგადოდ რჩევა და განკარგულება მღვდლისა ეკლესიის შესახებ შენი სამსახურისამებრ ყოველთვის მიიღე ხალხისანათ და სიყვარულობით აღასრულე საქმე ღვთისა.

16) არ უნდა გაჰკიცხო უზირატესი მღვდლის შეცდომილება და ნაკლულევენება: მოიგონე სიტყვები იესო ქრისტესი: ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ (მათ. თავი 7, მუხ. 1). ანუ რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვიტესა თვალსა შინა შენსა არ განიგდა (მათ. 7, მუხ. 3). შენ როგორც უმცროსმა ძმამ და ეკლესიის მოსამსახურემ არ უნდა განიკითხო მღვდლის მოქმედება მრევლის წინაშე და ამით არ ჩაუხერგო მათ გულში ცუდი აზრი მღვდელზე. გახსოვდეს, რომ შენი საქმე აქ სწავება კი არ არის, არამედ თვით ისწავო; და მღუპარებდენ მის შესახებ, რისიკ გასწორება არ ძალგის.

17) მრევლის შესახებ შენ უნდა იყო ზრდილობიანი, მომთმენი, არა მედიდური და ამპარტავანი და შენი სიყვარული გამოუტყალდო მათ შენი კეთილი სწავლა-დარიგებით; გახსოვდეს, რომ შენ ხარ სახელდობ ის პირი, რომელსაც თვით იესო ქრისტე უწოდებს თავის უმცროს ძმად.

18) კეთილნი გამგონნი, ღვთის საქმის მოყვარულნი და ერთგულნი მკითხველნი და მგალობელნი აკურთხოს უფალმა და შემწე ყყან მათ, რათა შეიქმნენ უკეთესნი და ღირს იქმნენ იგინი სმენად სიტყვისა ღვთისა: კეთილ მარწმუნეო მანოა, შეკვდ სისარულსა უფლისა შენისასა (მათ. თავი 25, მუხ. 21) ხოლო დაუდევნელნი და მცონარენი ნუ დაივიწყებთ წინასწარმეტყველის სიტყვებს: წყეულ იუოს ბატი, რამელმინ ქმნეს საქმენი უფლისანი უდებებით; ამისათვის ნუ დაიდუბავთ თავთა თქვენთა, ნუ შეაწყდუნებთ ხალხს, იწვრთიდით და ქმნენით საქმე ღვთისა შიშითა და კეთილ-კამალულებათა.

მღვდელი ნ. გარგაძე.

კულაშის საბლალოჩინო მაზრიდან.

კულაშის საბლალოჩინო მაზრა მდებარეობს იმერეთის ეპარქიის დასავლეთის მხრით, სამეგრელოს ეპარქიის სამზღვარზე. ეს საბლალოჩინო შეიცავს 22 შტატსა. ამ საბლალოჩინოს ამ 4 წლის წინად განაგებდა განსვენებული დეკანოზი ბ. ჩხენკელი და ამ 4 წლის აქეთ განაგებს ბლალ. მ. მღვდელი ერ. კანდელაკი. განსვენებული მ. ჩხენკელი ასრულებდა ბლალოჩინობას 25-ის წლის განმავლობაში. თუმცა ეს მ. ბლალოჩინი პირად თავის მოვალეობას ასრულებდა რიგიანად, მაგრამ კრებულის წეს-წყობილება არ ჰქონდა რიგიანად დაცული, რადგან განსვენებული იყო ძველი მიმართულების კაცი და მეორედ კარგად არ ჰქონდა შესწავლილი სასულიერო კანონები. კრებულს ეს მამა ბლალოჩინი ექცეოდა ვითარცა ამხანაგს. როდესაც ამხანაგობით მეუფროსესთან სამსახური მიდის, იმ შემთხვევაში ეკლესიის კრებულს რიგიანად არ შეუძლია თავის მოვალეობის აღსრულება. ყოველს შემთხვევაში ეკლესიის კრებულმა უნდა იცოდეს, ვინ არის უფროსი და რა მოვალეობა აქვს მეუფროსეს მასზედ, რომ ამით რიგიანად განაგოს თავისი სამსახური ეკლესიისადმი. რაც რომ ბლალოჩინად შემოვიდა მამა ერ. კანდელაკი, არ შეიძლება კაცმა არ შენიშნოს კრებულის გაუმჯობესობა, მათ სამსახურის მტკიცედ დაცვა. დღეს ყველა კრებულმა კარგად იცის თავისი დანიშნულება, ყველა კარგა ასრულებს თავის სამსახურს, ჯეროვნად განაგებენ ეკლესიას და რიგისამებრ სრულდება ყოველი საეკლესიო საბუთები. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი არის ის, რომ მამა ბლალოჩინი წელიწადში ორ-სამს გზის იწვევს სამღვდლოებას ერთად. ამ საბლალოჩინო კრებაზედ რიგიანად აგონებს კრებულს, უხსნის საერთოდ ყველას თავის დანიშნულებას, მთავრობის ყოველგვარ განკარგულებას და ამით სპობს სამღვდლოთა შორის ყოველს უწესო მოქმედებას. მ. ბლალოჩინის სიტყვიერ დარიგებით ისრე-სარგებლობს ზოგიერთი კრებული, როგორც ნიჭიერი მოსწავლე, გაკვეთილის დროს, იძენს კარგ გადამცემ მასწავლებლისაგან სწავლას. ამისთანა კრება ჩვენს სამღვდლოებას გვექონდა მს იანვარს. კრებაზედ ყველა კრებული გამოცხადდა, გარდა ხონის



მაცხოვრის ეკკლესიის კრებულისა, რომელიც არა-
ოდეს ჩვენს კრებაზედ არ გვესწრება. შეიკრება თუ
სამღვდელეობა, მ. ბლალოჩინმა მიიწვია ისინი
კულაშის ნორმალურ სასწავლებლის ერთ დიდ
ოთახში. კრებაზედ ბევრი კითხვები აიხსნა. წინა პირვე-
ლად მ. ბლალოჩინმა გადაცა სამღვდელეობას შესაფერი
სიტყვა, შესახებ მათი მოვალეობის შესრულებისა.

ამ დარიგების შემდეგ სამღვდელეობას მისცა მან
წინადადება, აღმოეჩინათ თავიანთ საშუალებასავე
შემწეობა დამწეულთათვის. ეს წინადადება სამღვდ-
ლოებამ შეიწყნარა და თავიანთ ჯამაგირიდან თი-
თო პროცენტი წელიწადში დანიშნა. წაკითხულ
იქმნა კრებისადმი მოწერილობა ეპარქიულ მთავრო-
ბისა, იმის შესახებ რომ სამღვდელეობა ურიგო
მსვლელობით და თხოვნით არ აწუხებდეს მისს მეუ-
ფებს და სავაძრკო სამართველოს არ აძლევდენ
დაბრკოლებას საქმის წარმოების დროს. ეს მოწე-
რილობა ისრე მშვენიერად განმარტა მ. ბლალოჩინ-
მა, რომ ყველა კრებულმა ერთხმად აღვიარა მტკიცედ
დაცვა ესრეთის ბრძანებისა. შემდეგ ბლალოჩინმა
წარმოსთქვა სიტყვა, თუ რა ცუდი ჩვეულებაა, უმე-
ტეს სამღვდელეთა მხრით, თუთუნის წევა და რა
ცუდი გაელენა აქეს ამ საზიზარ ჩვეულებას სამწყსოში.
ამ კითხვის დაბოლოებამ ბევრი ლაპარაკი და უთანხ-
მოება გამოიწვია, მაგრამ სამღვდელეობამ დაადგინა
განაჩენი «თანხმად ყოვლად სამღვდელეობის მოწერი-
ლობისა მოსპონ თვის შორის ეს ურიგო ჩვეულება
და განუტეონ ამიერითგან თამბაქოს წევა». ამ განა-
ჩენს მთელმა კრებულმა ხელი მოაწერა. ღმერთმან
ინებოს ეს ცუდი და შემადრწუნებელი ჩვეულება
მოსპობილიყოს ჩვენს სამღვდელეობათა შორის. . .
ბოლოს განმარტებულ იქმნა მოწერილობა. იმის
შეხასებ, რომ მეტრიკის პირველის ნაწილის მეხუთე
ხაზში ნუ ჩაიწერებიან ნათელის დროს დამსწრე მო-
წმენი, არამედ ისინი უნდა ამოწმებდენ სინამდელიეს
მეტრიკაში შთაწერისას. ამ კითხვამ ბევრი ლაპარაკი
გამოიწვია. რამდენიმე მღვდელთაგანი ლაპარაკობდა
მეხუთე მოწმის ხაზი მოსპობილი არისო, დედამამ
უნდა მოაწეროს ხელი თავის ხაზში, ნათლიამ თავისაშიო;
ზოგი კი იმ აზრისა იყო: მეხუთე ხაზი არ
არის მოსპობილი, არამედ ამ ხაზში დედამამ უნდა
დაამოწმოს ხელის მოწერით შთაწერის სინამდელიე.
ეს კითხვა გაუგებელი დარჩა. ბლალოჩინმა აღუთქვა
კრებულთ ამ საგანზედ კანტორას დავეკითხებიო.

ესთნოე მორჩილად რედაქტორს, მამა დეკინოზს დ.
ლამაშიძეს «მწყემსი»-ს საშუალებით გვაცნობოს
ეს მეხუთე ხაზი მოსპობილია თუ არა? *) კრებაზედ სხვა-
და სხვა კითხვებზედ იყო ლაპარაკი, რომლებიც რი-
გიანად დაბოლოვდა. ღმერთმა ინებოს ჩვენს სამღვდ-
ლოებას ასრე რიგიანად წაეყვანოს თავისი დანიშნუ-
ლება, როგორც დღეს ესრეთი მათგან სრულდება.

მღვ. სამსონ შენგელია.

„მწყემსი“-ს კორრესპონდენცია

(ფოთი დამ).

25-ს იანვარს ქ. ფოთში იდღესასწაულა თავისი
შობის და სახელწოდების დღე გურია-სამეგრელოს ეპის-
კოპოსმა გრიგორამ.

ამ დღეს თვითონ მათმა მეუფებამ სწიქა ფოთის
საკათედრო ალექსანდრე ნეკელის ტაძარში. წინ-
გის შესრულების შემდეგ გაჩდასდილ იქმნა პარაკლისი
წმიდის მღვდელთ-მთავრის და ღვთის-მეტყუელის გრი-
გორის სახელზე. პარაკლისის ბოლოს მათ მეუფებს
მიამართა შემდეგი სიტყვით მ. გიორგი გეგეჭკორამ:

ყოვლად უსამღვდელეოსო მეუფეო, უმოწყა-
ლესო მწყემსთ-მთავარო!

„დღეს ჩვენ თქვენ მეუფებსთან ერთად წმინდის
ტრაპეზის წინაშე ვდღესასწაულობთ თქვენის მეუფების
შობის და სახელწოდების დღეს. როგორც ჩვენ დღეს აქ,
თანასწორ ყველა თქვენი ეპარქიის ეკკლესიების მსა-
ხურნი პაწნი, ამ თქვენი სადღესასწაულა დღეს შესწი-
რავდენ მსხვერპლს ღმერთსა და აღაყენდენ ღვთი-
სადმი ლოცვასა დღეგმქელობისათვის თქვენის მეუფებისა.

ყოვლად უსამღვდელეოსო მეუფეო! ამ წესის აღს-
რულება ჩვენ მოკვალეობას შეადგენს, რადგან თქვენ
ბრძანდებით უფროსი და მწყემსთ-მთავარი ჩვენთა ძველ-
თა შვიდთა საეპარქიოთა და აწ გურია-მეგრეოლისა.
მეორე მხრითაც ვაღებუენი ვართ, რათა ვდღესასწაუ-
ლობდეთ და გუდმსურვალედ ვეკედრებოდეთ ყოველს
ამ დღეს ღმერთსა დღეგმქელობისათვის თქვენი

*) მეხუთე ხაზი მოსპობილი არ არის და რა უნდა ჩაი-
წეროს ამ მეხუთე ხაზში, ეს კანტორის უკანასკნელი უქაზით
არის მშვენიერად განმარტებული.

მეუფების, რადგან მოწოდება თქვენის მეუფების განუჩნებლად აბედნიერებს ყველას. თქვენს მრავალთა მიერ შეკლა და სასაჩუქრეობისაგან ხსნა: ზოგ მათზედ ხელდასხმითა, ზოგს ჯილდოს მინიჭებთა და ზოგს ნივთიერის შემწობით.

თქვენ მეუფებო! ყოვლად მოწოდებულ დიკრას და უჯილდოებისადაც თანშობაღის ნიჭით და კაცთ-მოყვარებითი გრძნობით, რომ მუდამ იხრუნეთ თქვენ გურთხეულ სამწესსათვის, რადგან სამღვდელთა, ისრე რჯისთა კეთილდღეობისა და წარმტებისათვის, რათა განუჩნებლად შთამოებთა, შიშობებთა და ერგონებთა დაცემულთა მისცეთ აღდგენა, ქვრივ-ობოლთა და ოხრეთა ნუგეშებისა. მშრომელთა და მცადონეთა უხსნით გონებისა და აძლევეთ გზისა აჩხუბებისა და კეთილდღეობისა და სხვა მრავალ ამგვარად შესაფერად ყოველთა, რომელთა მრავალ მათგანთ ახნათ კიდევ და დღესასწაულობენ დღეს დღეობით ამითა; შობა და სახელწოდება თქვენი ამ თან შობილის მადლის ნიჭით. ამ ქვეყნად შეიქმნა მრავალთა ქრისტეს ეკლესიისათვის სასაჩუქრედ შობის დღე და ამისათვის დღეს კდესასწაულობთ თქვენი წმინდის დაბადების და სახელწოდების დღეს. გულისხმობს ყოველი და დგომისადმი მსხვერპლის შეწირვით ვითხოვთ მაცხოვრის იესუს, მეტებთა წმინდის მღვდელთ-მთავრისა და დგომის-მეტყველის გრიგორისათა, თქვენ გუგუს დღე გრძელი».

ამ სიტყვის მასხვად ყოვლად სამღვდელთა გრძნობით წამოსთქვა რამდენიმე სიტყვა, რომელთადაც გამხატვა თავისი უღრმესი სიყვარული თვისთა სამწესსათადმი.

შემდეგ წამოითქვა მრავალ-ყამიერობა ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცა და მეტყველნი ტარაკვიჩისა, უწმ. სინოდისა და ყოვლად უსამღვდელთა გრიგორისა.

საზოგადოება წირვაზე და მარჯობისზედ ბლომად დაესწრა. წირვის შემდეგ ფართის პატრიარქმუცმა საზოგადოებამ მიუღო ყოვლად სამღვდელთა დღე მისის შობისა და სახელწოდებისა; ამასთანავე მისმა კრებულმა წინამძღვრობით მამა დეკანოზის მარკარკისა, მიუღო მათ მეუფებისა ოქროს სატი გრიგორი დგომის-მეტყველისა, ხიშნად მამაშვილურის ტრეპუზის წინაშე წმიდად თანამსახურებისა.

განაჩინა სხვა-და-სხვა გურთხეობად სამღვდელთა და წამოეგზავნა თავიანთი ბლადარჩინები მათის საყ-

ვარდის მწვემთ-მთავრისათვის მისაღობად. ამასთან დღესასწაულის მოსალოცავი ტელეგრაფებიც ბევრი მოუვიდა მის მეუფებს და სახელდობრ შემდეგ შირთაგან: საქართველოს ექსარქოსის პალატიისაგან, მთავარ-ეპისკოპოსის პალატიისაგან, აღაგურდის ეპისკოპოსის ბესარაონისა და სხვა მრავალ წარჩინებულ და პატრიარქმულ შირთაგან. მათ მეუფებს მიმართული წუგუდა სადილზე მოგვიერთა სამღვდელთა და საერთო საპატრიარქოსო სადილზე დადიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და მათი უაგურტოკისი რჯისისა, საქართველოს ექსარქოსის პალატიისა, აქციეპისკოპოსის პალატიისა, ეპისკოპოსთა გარეოლისა და ბესარაონისა და სხვა პატრიარქმულ გულთ მონაწილე და გარემოებით არა დამსწრე შირთათვის.

დამსწრეთაგანნი.

დ რ მ ბ ი ს ფ ა ს ი.

(საუბარი).

«თითოეული ჩვენი დღე არის მთელი პაწია ცხოვრება».

ლუბოვი.

რას გვიკეთებენ ჩვენ მეგობრები, წიგნები, ანუ თვითონ სიმრთელი; როგორ შეგვიძლიან ჩვენ ვინაიამოვნოთ მოგზაურობით, შინაურის ცხოვრების მხიარულობით, თუ ჩვენ არა გვაქვს მოცალეობა იმისათვის, რომ ღირსეულად დავფასოთ ეს სიხარული? ხშირად ამბობენ, დრო ფულიაო; არა, დრო ფულზე უმეტესია, ეს თითონ ცხოვრებაა. მაგრამ ბევრი იმართვანი, რომელნიც სულთ და გულთ დაწაფებიან ცხოვრებას, არაფრათ მიანჩიათ უსარგებლოთ ღროების დაკარგვა. ამ სიტყვებითგან, მართლა, ის კი არ გამოდის, ვითომც სანატრი იყოს, ყოველს სიხარულს მოკლებული სიცოცხლე მოღვაწისა. პირველი—დრო, მოხმარებული უმანკოსა და გონიერ გართობაზე, სასიმრთელო თამაშობაზე, საზოგადო თაყობობებზე შინაობაში, ფუტუდ დაკარგულად კი არ უნდა ჩივთვალოს, არამედ გონიერად მოხმარებულია. საზოგადო თამაშობანი არა მხოლოდ გვიმარებენ საერთოდ სიმრთელეს, არამედ კერძოდ ამითი ვიმაგრებთ ჩვენ ძვალ-რბილს და ვივარჯიშებთ სხეულის ნაწილებს. ამან მეტყველნი—გონიერული სხეულის მოძრაობა, უტყველად, გვიფარავს



ჩვენ მრავალ-გვარის საცთურისა და ავად-მყოფობის-გან, რაიცა ჩვენ, სამწუხაროდ, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. მარტოკა ზარმაცები, დაუღვევარი კაცები, უჩივიან მოუტლელობას ყველა თავის მოვალეობის ასასრულებლათ, ანუ იმ საქმისა, რაც იმათ სურდათ გასაკეთებლად. მართლაცა და კაცს ყოველთვის შეუძლია ჩაიგდოს საკმაო დრო, რომ აღასრულოს ის, რაც მას მოსწონს, რომ აღარ ვილაპარაკოთ მისის მოვალეობის ასრულებაზე. საქმე მოუტლელობა როდია, არამედ ნების და ხასიათის უქონელობა, სიღუნე. მოცლილობას, რომელიც ხელთ აქვს ზოგიერთ ბედნიერებას, ის უპირატესობა კი აქვს, რომ ამოგარჩევიებს იმ საქმეს, რაზედაც უფრო გული მიეგრჯის. მოცლილობა, რომლითაც ჩვენ ზოგჯერ შეგვიძლიან ვისიამოვნოთ, არასოდეს არ არის ზარმაცობის კუთვნილება. შექსპირი ერთს თავისს კამედიაში ამბობს: „დროება მიმდინარეობს სხვა-და-სხვა სისწრაფით, იმისდაგვარად, ვინ ჩვენგანი როგორი ხასიათისაა: ზოგთან იგი მიიზღაზნება, ზოგთან მირბის, ზოგთან ხტის, სხვებთან-კი სდვას, ადგილივან არ იძვრის“.

ტყუელ ბრალს სდებენ დროებას, ვითომც იგი ისეთნაირად მიფრინავდეს; თვითონ ჩვენი ბრალია, რომ არ ვიცით ჩვენი დროების მოხმარება ყუათიანათ და გვისხლტება იგი, ასე ვთქვათ, თითქოსა და თითებს შუა.

«ზარმაცობა, ამბობს ერთი ინგლისელი მწერალი, ყველაზე უფრო დიდი ბედროვლათობაა ქვეყანაზე; ზარმაცი არ აფასებს მას, რაც ფასდაუდებელია, სანამ მას იგი ხელთ აქვს; ზარმაცს გაუსხლტა ხელითვან ის, რის სამაგიეროც აღარ რჩება, რადგანაც ვერავითარი ხელოვნების, ანუ მეცნიერების ღონისძიებით ვერ დაიბრუნებ დაკარგულ დროს».

უქვეყლად დიდი სიმართლე არის ლორდის ჩესტერფილდის სიტყვებში, რომლითაც მან დარბეგება მისცა თავის შვილს. — «ჩვენგან დაკარგული თვითეული წამი ედარება სარფიანი შემმართებლობის ხელითვან გამოცლას; მეორის მხრით თვითეული წამი, სასარგებლოდ მოხმარებული, ედარება თითქოს სამთავნოდ გადადებულს ფულს. ფრიად გასაკვირველია, კაცმა როგორ უნდა გაატაროს ზარმაცობაში თუნდ ერთი წამიც, თუ გავისხენებთ, რა მოკლეა საზოგადოდ ჩვენი ქვეყნიური სიცოცხლე... შვილო ჩემო, ჩაიკდიე გულში, რა ძვირფასია დრო; ხელით-

ვან არ გაუშვა იგი, ისარგებლე და გამოიყენე რა შიმე თითეული წამი». გჰიოტე თავისს უკედავ თხზულებაში ფაუსტში არა ერთხელ უბრუნდება ამევე საგანს და გვასწავლის ჩვენ: «ერთ დღესაც ნუ დაკარგავთ; ერთი თუ არად ჩაადე; იმას სხვა დღეებიც მიყვება. მერწმუნე: ოღონ გულამოჭრით გადასწყვიტე და, რაკი ერთხელევე საქმეს ხელს ჩაკიდებ, მერე გინდოდეს და არ გინდოდეს, უთუოდ წინ უნდა წახვიდე».

„ადამიანის სული, ამბობს ლოთრანგი, ბევრით ჰგავს წისკვილის ქვას: თუ ჩაუყრი ხორბალს, იგი ტრიალობს და ხორბალს ფქვილად აქცევს; თუ ხორბალი არ ჩაუყარე, წისკვილი მანც უწინდებურათ იმუშავებს და თითონ თავის თავს გაცვეთავს“.

მუშაობა კი არა, უფრო ზრუნვა ჰკლავს კაცს და, უთუოდ, ამ აზრს შეიცავს იესო ქრისტეს სიტყვები: «ნუ ზრუნავთ, რა სჭამოთ და რა სვათ; ნუცა ხორცთა თქვენთათვის, რა შეიმოსოთ, ანუ არა სული უფროს არს საზრდელისა, და გვაში სამახლისა. მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა და მამა თქვენი ზეცათა ზრდის მათ. და სამოსლისათვის რასა ზრუნავთ? განიცადენით შრომანი ეელისანი, ვითარ იგი აღორძინდის? არა შეკრებიან, არცა ჰსთვან. ხოლო გეტყვი თქვენ, რამე თუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათვანი. უკეთუ თივა იგი ეელისა, რომელი დღეს არს და ხვალ თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა მე უფროს თქვენა, მცირედ მორწმუნენო!»

გარნა შემცდარობა იქნება ვიფიქროთ, ვითომც სუმბული (ყვავილია) უმოქმედოთ დროს ატარებდეს. პირიქით მცენარეები საზოგადოდ ძალიან საქმიანობაში არიან და სუმბულები, მაგ., წლას განმავლობაში იკრავებენ თავისს ბულქებში საზრდოს, თავისის ზრდის ასაჩქარებლად შემდეგ წელში. ზრუნვა, რასაკვირველია, მათ არ აწუხებს.

დიდებული მილტანი ამბობს დროების შესახებ: «ჩვენის დღის თვითეული საათი ფრთებ შესხმულია; ამ ფრთებზე საათები მიფრინვენ ჟამთა შემოქმედისაკენ და აძლევენ მას ანგარიშს ჩვენის ყოფაქცევისათვის თვით უმხურვალეს ჩვენს ვედრებას არ შეუძლიან დაგვიბრუნოს ჩვენ თუნდ ერთი წუთი, ანუ შეაჩეროს მისი მავლელობა. თვითეული ცუდათ გატარებული საათი ხდება ჩვენს ახალ-ახალ გამამტყუნებლად



ზეცას. აბა როგორ არ უნდა ვეცადოთ ჩვენ იმას, რომ ზეცას მიმფრინვალე საათებმა კი ამბები მიიტანონ ჩვენზედ და შეატყობიონ არა თუ ჩვენი კეთილი განზრახვები, არამედ ისეთი მოქმედებაც, რომელიც ღირსეულ მოწმეებად წარგვიდგებიან ჩვენ უზენაესის ტახტის წინაშე».

ხშირად გაგეგონებათ, რომ დრო მიფრინავსო; ნამდვილად კი იმდენად დრო არ მიფრინავს, რამდენათაც თვითონ ჩვენ მას ვფლანგავთ ფუჭად: «მე დაეკარგე ჩემი დრო, ამბობს შექსპირი, მეფის რიჩარდის პირით, ახლა კი დრო მე თითონ მღრღნის». იგი, ვინც აფასებს და მომჭირნობს თავის დროს, ამბობს ერთი ფრთხილ გამოცდილი აღრინდელი ინგლისელი მწერალი, გაუთხილებული იქნება აგრეთვე შესახებ თავისის ქცევისა მეგობრების ამორჩევაშიაც: რა არის, ამ მეგობრებმა არ დაღუპონ იგი თვითონ და ის დრო, რაც მათზე მონდომია და არ შეატოვონ მას მედიდურობასა და მუქთახრობაში».

კაცის სიცოცხლის საზღვრად ცნობილია 70 წელიწადი, მაგრამ მთელი ეს ხანი, ნამდვილათ სულერთიან არ არის ჩვენს უფლებებში. ამ 70 წელიწადს რო მოვაკლოთ ის დრო, რაც გვინდება ძილსა, ჭამა-სმასა, ჩაცმასა და გახდასა, სვირნობასა და მისთანებზე, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ნამდვილად ძალიან ცოტა დრო რჩება ჩვენს განკარგულებაში. ინგლისელი მწერალი ლამბე ამბობს: «სახელათ მე ეცხოვრე 70 წელიწადს; ახლა თუ იმათგან გამოვრიცხავთ იმ წლებს, როცა მე სხვებისთვის ეცხოვრობდი და არა ჩემთვის, მაშინ გამოვა, რომ მე ძალიან ყმაწვილი კაცი ვყოფილვარ». მაგრამ უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენ სიცოცხლეს უნდა გამოვაკლოთ ის საათები კი არა, რაც სხვებისთვის შეგვიწირავს, არამედ ისინი, რომელთაგანაც არც ჩვენ გვრგებია რამე, არც სხვას. ამისთანა ურგები საათები სამწუხაროდ, ძალიან ბევრია ჩვენს ცხოვრებაში. ძალიან საგულისხმეოა ფილოსოფოსის სენეკას სიტყვები: «ჩვენი სიცოცხლის ზოგიერთი საათები გვინდება საქმეზე, ზოგიერთს სხვები გეტაცებენ—გვატყდენენ, სხვები კი ხელითგან გვეკლება შეუნიშნავად». დროება მიისწრაფის წინისკენ თავისს რიგზე და მისი გამობრუნება ჩვენს ხელთ არ არის. აქედან ის კი არ გამოდის, მართლა, რომ ჩვენ სასოწარკვეთილებას უნდა მივეცეთ. მართლს ამბობს ერთი აღმოსავლეთური ანდაზა, რომ «ცოთ მოვლენილნი

უბედურებანი შეუძლიათ გადცილონ სიკვდილის შვილებმა, მაგრამ იმ უბედურებათგან, რასაც ჩვენ ჩვენს თავს დავმართებთ ხოლმე—საშველი აღარ არის!» ბრძენმა პოეტმა რუსთველმა სთქვა: «მტერი მტერსა ვერას აენებს, რომელ კაცი თავსა იენებს».

შესანიშნავი არქეოლოგი მორლო მუდამ ცხოვრობდა შვეიცარიის ერთს პატარა სოფელში და ყველა თავისს ცხოვრების მოთხოვნილებებისათვის წელიწადში კმარობდა მხოლოდ ათას მანეთს. ამ ფულითგან კიდევ იმდენს ინარჩუნებდა, რომ გაიჩინა პატარა არქეოლოგიური მუზეუმი, რომელსაც თან-და-თან ამდიდრებდა იმ ფულითგან. ერთხელ მას შეეკითხნენ: «ხომ არა გასურს, დაიკავო რომელიმე კათედრა, ანუ სხვა რამ მართებლობის ადგილი?» მან უპასუხა: «არასოდეს; მე ვაფასებ ჩემს თავისუფლებას, რის მეოხებითაც მე შემძლია მივეცე ჩემს საყვარელს სამუშაოს და ეს გაცილებით ფულზე უმაღლესია; საზოგადოთ მე მგონია, რომ ფულის მოსახვეჭად არა ღირს ძვირფასის დროების დაკარგვა».

დრო, მართლა და, საღვთო ნიჭია და თვითფული ჩვენი დღე, მთელი პაწია სიცოცხლეა, ჩვენს საუკუნეში ჩვენ გარს გვარტყია მრავალ-გვარი ღონისძიება, რომ გონიერულად ვასხვადასხვაოდ დროების გატარება. ჩვენს დიდს ქალაქებში, წიგნთ-საცავებში ყველას ხელი მიუწვდება მთელის ქვეყნის საუკეთესო წიგნებზე. განა ბევრია ჩვენში იმისთანა კაცი, რომ რიგიანათ დაეთვალეირებოდს ჩვენი წიგნთ-საცავები და მუხეუმები, საჯარო და საეკლესიო ძვირფასი ნაშთები, მრავალგან მოფენილნი ჩვენში?

უეჭველია, რომ კაცის ცხოვრებაში მწუხარება პუტილებელია, მაგრამ ამის გამო ჩვენ მაინც არ უნდა მივეცეთ ჭმუნვარებას და არ ჩაუფარდეთ ხელში ღარდიანობას. მიუხედავად ამისა ბევრია იმისთანა კაცი, რომელიც მუდამ თვითონაც დაღრეჯილ მოწყენილი არის და სხვებსაც თავს აბეზრებენ წუწუნით და ბედის მღურვით. ის კი აღარ იცინა, რომ უფრო ხშირათ თითონვე არიან დამნაშავენი, თუ მათ სიხარული ნაკლებათ რგებიან. სწორეთ ამისთანა კაცებს უსაყვედურა ერთმა ინგლისელმა სწავლულმა: «თქვენ ამბობთ, მოწყენილი ვართო? აბა, ერთი შეხედეთ ამ სუმბულებს—რა უებრად შევნიერები არიან! აბა ერთი ამ იასაც შეხედეთ—საითგან მიუტაცია თავისი საოცარი სურნელება? თქვენ ემღურით

მოწყენილობას, იმას რომ არ იცით, რას მოახმაროთ დროა; განა ცოტაა თქვენს გარშემო ჯერ აუხსნე-ლი სანუკველი კითხვები! განა იცით თქვენ თვისებები წყლისა, ჰაერისა, რომელსაც ჩვენ ვისუნ-თქავთ; შეგიძლიათ თქვენ მიბადოთ ფრინველების ჰაერში სრიალს? მეტსაც ვიტყვი—ერთი ხელი რომ გაიშვიროთ, უთუოთ მოგხედებათ იმისთანა ნივთი, რომლის თვისებები თქვენ ძალიან ნაკლებად იცით. თქვენ მოგწყენიათ, როდესაც მთელი ბუნება გიწვევს თქვენ: შემისწავლეთ, დამიმორჩილეთ და გზა გაიკვ-ლიეთ ახალ-ახალის სიქელოსა და მოღვაწეობისად-მიო! მოკიდეთ ხელი საქმეს, შეისწავლეთ რამე ზედ-მიწევნით, მოკიდეთ სულით და გულით ხელი მეც-ნიერებას, ხელოვნებას რასმე, მეურნეობას, მებაღე-ობას, დურგლობას... და თქვენ მოცლაკ არ გექნე-ბათ, რომ დრო დაკარგოთ მოწყენისა და ფუჭი საქმეებისათვის». დიდებულმა დაეით მეფემ რა გზით მოასწრო იმდენი აურაცხელი ქველის საქმეების გა-კეთება? მით, რომ იგი წუთსაც არ კარგავდა უქმად. როცა სამეფოში მშვიდობიანობა იყო, იგი გამაღე-ბული დადიანს ხან გადამა, ხან გადმოღმა საქარ-თველოში. ლაშქრობაში ხომ მუდამ ბრძოლა არ არის. იმ თავისუფალ დროს, რომელიც ბლომათ რჩება ბრძოლასა და ბრძოლას შუა, ახლანდელი სამხედრო კაცები ატარებენ სმა-ქიფში, ბალქოს თამაშში და მისთანებში. დავით აღმაშენებელს კი მთელი წიგნების გროვა თან დაქონდა ლაშქრობა-შიაც და, დახეობდა თუ არა თავისუფალ საათს, მაშინვე წიგნების კითხვას მიჰყოფდა ხელს. ვისაც ბევრი და დიდი რამ გაუკეთებია, ეს ყველაზედ უფრო დროების მოხმარების ცოდნის შედეგია.

თ ა მ ა რ მ ე ფ ე .

1184—1212 წ.

(გაგრძელება *)

საქართველოს ყველა მტერი დარწმუნდნენ, რომ ჩხუბით ვერას გაარიგებდნენ საქართველოსთან, და ამიტომ მეგობრობით უნდოდათ მიღწეოდნენ თავის მიზანს. მაგრამ გონიერი თამარი მიხედა მათ აზრს და

დიდხანს არ გაუფლია მისი დაქორწინების შემდეგ, რომ თამარმა გაილაშქრა ყარსისაკენ. ჯარებს წინ უძღვა ქმარი თამარისა გიორგი, რომელმაც თავისი გო-ნიერი და გამოცდილი სარდლობით გაიმარჯვა, აილო ყარსი და სხვა ადგილები და აუარებელი ალაფით დაბრუნდნენ ქართველები უკან. შემდეგ გაილაშქ-რეს არარატისკენ და სულ გაფანტეს თათრის ჯა-რები და დაამარცხეს იგინი. მერე გაილაშქრეს განჯისკენ და აქაც გამარჯვებულნი დარჩნენ ქართვე-ლები. სულ მცირე დროში დიდი სახელი გაითქვა ქართველმა მხედრობამ და თავზარი დასცა მეზობელ მტრებს.

ამისთანა გამარჯვების შემდეგ თამარ მეფეს სი-ხარული და დღეგრძელობის მეტი რაღა რჩებოდა, მაგრამ ამ ქვეყანაზედ ყოველის მხრით ბედნიერი არაეინ არ ყოფილა და არც იქნება. როდესაც სა-ქართველოს საქმე გარეშე მტრების დამარცხების შემ-დეგ ასე მშვენიერად მიდიოდა და ხალხი სტკებოდა მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრებით, თამარის სახლში დარღვეულ იქმნა ოჯახური ბედნიერება და მშვიდობიანობა. თამარის ქმარი თან-და თან შეეჩვია სიმთვრალეს და ისეთი საჩივრების ჩადენა დაიწყო, რომლის მოთმენა თამარისაგან შეუძლებელი იყო. სხვა-და-სხვა ზომები იხმარეს, რომ გიორგისთვის ხასიათი და საქციელი გაესწორებიათ, მაგრამ ნაცვ-ლად ხასიათის და საქციელის გასწორებისა, ის უფრო ცუდად იქცეოდა და ამისათვის თამარი იძულებული შეიქნა სახალხოდ გამოეცხადებინა, რომ მას ამის-თანა კაცთან ცხოვრება არ შეუძლია. თამარი გა-შორდა თავის ქმარს გიორგის. გიორგი რუსუდანმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა შავი ზღვით გაის-ტუმრეს კონსტანტინეპოლში. ამნაირად მოხდა თა-მარის კანონიერად გაყრა პირველ ქმართან.

სასულიერო წოდების წარჩინებულ პირთა და ხალხის თხოვნისამებრ თამარი დათანხმდა გაჰყოლო-და მეორე ქმარს. ეხლაც მრავალ დიდებულ მეფის შვილთ ჰსურდათ თამარის ქმრობა, მაგრამ ბედი თამარის ქმრობისა ხედა ორთა მეფის შვილს ქარ-თველთა მეფის ნათესავს დავითს, რომელიც რუსუ-დანს ჰყავდა აყვანილი შვილად, რადგან რუსუდანი უშვილო იყო. დავითი იყო ძლიერი მხედარი, ლა-მაზი და კეთილი თვისების და ხასიათის კაცი. დიდის ამბით და დღესასწაულობით იქმნა ქორწინება შეს-რულებული. დაფუძნდა მშვიდობა და ბედნიერი

*) იხ. «მწეკსია»-ს № 2.

ცხოვრება როგორც თამარის სასახლეში, ისე მთელს საქართველოში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ესეთი მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება მალე დაირღვა. თამარის პირველი ნაქრმევი, გიორგი წამოვიდა ჯარით კონსტანტინეპოლიდამ და მოვიდა აზრუმში. მას ჰსურდა საქართველოს სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება და გამეფება. მან მოიხზრო თავისკენ კლარჯეთის, შავშეთის სამცხის და სამეგრელოის მთავრები. ესენიც მიემხრნენ გიორგის და მათი შემწეობით გიორგი გეგუთში გამოაცხადეს მეფედ. აჯანყებული ხალხის ნახევარი ნაწილი გადავიდა სურამის მთაზე და გორამდისინ ააოხრა ყველაფერი. თორე ნახევარი აჯანყებულთა გადავიდა რკინის ჯვარზე და დასწვა ოცხე. აჯანყებულნი მიდიოდნენ თფილისის ასაღებად. თამარ მეფემ ბრძანა გალაშკრება აჯანყებულთ წინააღმდეგ. ჯარი წავიდა აჯანყებულების დასამშვიდებლად სამცხისაკენ და ნიალის მინდორში დაამარცხეს აჯანყებულნი. აჯანყებულთ სთხოვეს თამარს პატივება და იმანაც აპატივა მათ. ამ ომში დატყვევებულს გიორგისაც აპატივა თამარმა მისი დანაშაულებანი. გიორგი სამუდამოდ გაშორდა საქართველოს. საქართველოში კვლავ დამყარდა მშვიდობიანობა.

სახელი და დიდება თამარისა თან-და თან გაიბრუნა და გაძლიერდა მეორე ქმრის დავით სოსლანის დროს. დავით სოსლანი ძლიერ ნიჭიერი და მამაცი მხედარი იყო და მტრებთან შეტაკების დროს ყოველთვის იმარჯვებდა. ერთხელ დამარცხების და პატივების შემდეგ გიორგი ბოლოლიუბსკი კიდევ შემოვიდა საქართველოში ხალხის ასაჯანყებლად, მაგრამ დავით სოსლანმა მამაცურად დაამარცხა იგი და გადადევნა საქართველოდამ. ამის შემდეგ დავით სოსლანმა გამოიჩინა თავი სპარსელებთან ომში.

საქართველომ ცოტას ხანს მოისვენა გარეშე მტერთაგან და ამიტომ თამარი სახელმწიფო შინაური საქმეების დაწყობას შეუდგა. მოულოდნელად მოუვიდა ამბავი თამარს, რომ სპარსელები მისუღანთავეს ხალიფთან და უთხოვნიათ შემწეობა თამარის წინააღმდეგ, ხალიფსაც უხვად გაუცია ოქრო მთელს სახელმწიფოში და შეუკრებია ურიცხვი ჯარი საქართველოზედ გასალაშკრებლად. ხალიფს თან წამოელო მაჰმადის დროშა და დაბანაკებულნიყვნენ აღარბად-

განს. შეიტყო თუ არა ეს თამარმა, მსწრაფლ აფრინან კაცები საქართველოს ყველა კუთხეებში ჯარის შესაკრებად. ათი დღის განმავლობაში თავი მოიყარა ქართველთა რაზმებმა და თფილისის მიდამოები მთლად გაივსო ქართველი ჯარით. საქართველის ჯარი გამეზავრა სომხეთისკენ, სადაც ამ დროს იყო თამარი. თამარმა თავისი ტკბილი სიტყვით გაამხნევა ქართველთა ჯარი, რომელიც იერიშით მივიდა მტერზედ. ქართველთა ჯარმა დაამარცხა მტერი და ტყვეთ წამოიყვანა თორმეტი-ათასი კაცი და აუარებელი ღოვლათი. აუარებელი ოქრო და სხვა ძვირფას ნივთთა გარდა თამარს მტრისაგან დარჩა ორი ათასი ცხენი, ჩვიდმეტი ათასი ჯორი და თუთხმეტი ათასი აქლემი. ყველა ამ ღოვლათით დაბრუნდა ქართველთა ჯარი და მიულოცეს თამარს ამისთანა სახელოვანი გამარჯვება. თუმცა თამარის ჯარს პირველად აღებული და დაჭერილი ჰქონდა ყარსი, მაგრამ ეს ადგილი ხელმეორედ ჩაუარდა ხელში მტრებს. ნუქარდინმა დაიკავა ყარსი და გათავამებულმა იმით, რომ აუარებელი ჯარი ჰყავდა, უკადრისი წერილი მისწერა თამარს. ეს წერილიგაატანა ნუქარდინმა თავის სანდო კაცს. გამოგზავნილი კაცი ამაყად წარსდგა თამარის წინაშე და მოახსენა: «უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულთანმა ცოლად, და უკეთუ არ დაუტეოს სჯული, იყოს ხარჯად სულთნისა». ამ სიტყვებმა ცეცხლივით აანთო სარდალი ზაქარია და მან ისეთი შემოკრა ყბაში წერილის მომტანს, რომ ყირამალა დასცა. თამარმა შეკრიბა მსწრაფლ ჯარი და მისწერა საშავიერო წერილი ნუქარდინს მისი წერილის პასუხად.

ნუქარდინს ჰყავდა რეასი ათასი ჯარის კაცი. ამ რიცხვში ცხენოსანი ჯარი იყო ასი ათასი. ამიტომ იგი ძლიერ გამხნეებული იყო და არ მოელოდა დამარცხებას.

ქართველთა ჯარი დაეწყო რაზმებათ, გარდაიხადეს ღვთის-მშობლის ხატის წინაშე პარაკლისი, ემთხვიენ ჯვარს, ძელსა ცხოველისასა, გამოეთხოვენ და გამოემშვიდობენ თამარს და გასწიეს მტრის წინააღმდეგ. მოულოდნელად დაეცნენ მტერს თავზედ. შეიქნა სასტიკი ომი. სასტიკი შეტაკების შემდეგ სულთანის ჯარი დაიხია უკან. ქართველთა რაზმები დაედევნენ მტერს, რომელიც საშინლად დაამარცხეს. მტერთაგან აუარებელი ღოვლათი დარჩათ

ქართველებს და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდნენ, თავი დაუკრეს თამარს და მიულოცეს მასს გამარჯვება. ეს აურებელი სიმდიდრე თამარმა მთლად ეკკლესიებს, მონასტრებს და გაჭირვებულთ მოახმარა. შეიმკვნენ და გამშვენდნენ ეკკლესიები თამარის წყალობით როგორც საქართველოში, ისე საშზღვარ-გარეთ ათონში, იერუსალიმში, სინას მთაზედ, მაკედონიაში და სხვაგან. დიდ ძალი მოწყალება დაურიგა თამარმა ხალხსაც.

ერთხელ თამარმა შეიტყო, რომ ბერძნის იმპერატორი ალექსი ანგარი, გატაცებული ვერცხლის მოყვარებითა, იმ სიმდიდრეს, რომელიც თამარმა შესწირა წმ. ადგილებში მონასტრებს და ეკკლესიებს, სცარცვავს და ართმევს საწყალს მონაზვნებს თამარისაგან ნაზოდებს მოწყალებას. გარდა ამისა თამარს არ მოსწონდა საქციელი ამ ალექსი ანგარისა, რომელმაც თავის ძმას ისაკს თვალები დასთხარა და მეფობა წაართვა. თამარი გააჩინა ბერძნის იმპერატორის ამგვარმა საქციელმა და განრისხებულმა ამ იმპერატორის წინააღმდეგ გაგზავნა მცირე ჯარი, რომელმაც დაიპყრო ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინაპი, კერსუნდი და ყველა ადგილები პაფლაღონიისა და პონტოსისანი. აქ თამარმა დაარსა ტრაპიზონის იმპერია, რომლის მმართველად დასვა ნათესავი კომნენი ანდრონიკი შვილი. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდე და ამ წელში კი თათრებმა დაიპყრეს და ბოლო მოუღეს მასს.

როდესაც თამარის დიდებამ და გავლენამ უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია და როდესაც ყველა დამორჩილებული ხალხი ხარჯს იძლეოდა და ვეღარაინ ვეღარ ბედავდა საქართველოზე გამოლაშქრებას, მაშინ თამარმა თავისი გამოცდილება და ჭკუა-გონება მთლად საქართველოს შინაურ კეთილ-წარმატებას და ხალხის კეთილდღეობას მიჰაქცია. ამ დროს გარდაიცვალა დავით სოსლანი, რომლისაგან თამარს დარჩა ვაჟი გიორგი—ლაშა და ასული რუსუდანი.

შეიტყეს თუ არა თათრებმა დავით სოსლანის გარდაცვალება, ხელახლად აიშალნენ, მოინდომეს ჯაგრის ამოყრა და წართმეული ადგილების უკანვე დაბრუნება. პირველად გამოილაშქრა საქართველოზე არდებილის სულთანმა, რომელიც ფარულად შემოვიდა ანის ქალაქში და ეკკლესიაში მთლად დახოცა მლოცავი ხალხი. შეიტყო თუ არა თამარმა ამისთანა

საქციელი არდებილის სულთანისა, მან მსწრაფლ გაგზავნა თავისი ჯარი არდებილში. ქართველთა ჯარმა აიღო ეს ქვეყანა, დახოცა თორმეტი ათასი კაცი, ტყვეთ წამოიყვანეს სულთანი მისი ცოლებით და შვილებით და თან წამოიღეს აურებელი დოვლათი.

ამის შემდეგ თამარმა თავისი ძლიერ-მოსილი ჯარი გაგზავნა სპარსეთში ხორასნის ასაღებად. ქართველთა ჯარი გადავიდა მდინარე არეზზე და მიადგენ თავრიზს, ქალაქის მცხოვრებნი ძლიერ შეშინდნენ და დიდის საჩუქრებით, მორჩილებით და ხარკის მიცემით აიშორეს თავიდან აოხრება. თავრიზში ზაქარია მხარგრძელმა დასვა თავისი მმართველი და გავემგზავრა მანის ქალაქსკენ. როცა ქალაქ მანის მელიქმა შეიტყო ქართველთა ჯარის მოსვლა, თავრიზელებივით მოიქცა, დამორჩილებით და დიდის საჩუქრებით გადირჩინა თავი და ქალაქი აოხრებისაგან. ზაქარია მხარგრძელმა აქაც თავისი მმართველი დანიშნა და გავემგზავრა ერთს ქალაქს, რომელსაც ჰქვიან ზანგ. ეს ქალაქი ძლიერ გამაგრებული იყო და აქ ქართველებს სასტიკი ჩხუბი მოუხდათ, მაგრამ ბოლოს მანაც სძლიეს მტერს და ქალაქიც დაიპყრეს. ამის შემდეგ მალე აიღეს ხვარასნის ქალაქები ყაზმინი და გურგანი. როდესაც ქართველთა ჯარი ხორასნის ქალაქებს იღებდა, ზანგის მელიქმა შეკრიბა ხალხი და ქალაქის მმართველი და მცველნი, ზაქარია მხარგრძელისაგან დატოვებულნი, დახოცა და ძელებზე ჩამოჰკიდებდა დახოცილთა გვამი. როგორც კი შეიტყო ეს ზაქარიამ, იგი განრისხდა და უკან დაბრუნების დროს ეს ქალაქი სრულიად ააოხრა და დასწვა და მელიქი თავის ცოლ-შვილით სიკვდილით დასაჯა, ყველას ტყავები დააძრო და ძელებზე დაჰკიდა. აქედამ ქართველთა მამაცი ჯარი აურებელი დოვლათით და ყოველგვარი ჭირფასეული თელებით და მარგალიტით, რომელნიც მორთმეულ იყო დამორჩილებულ ხალხთაგან, ნახიჩევანით დაბრუნდა საქართველოში, მივიდა თამართან და მიულოცა მასს გამარჯვება. თამარი მიეგება ჯარს და დედებით მიიღო იგი. გამარჯვებულმა ჯარმა მართვა თამარს აურაცხელი ძღვენი არმალინი, თვალნი და მარგალიტნი. თამარმა მადლობა შესწირა ღმერთსა, გასცა უხუე მოწყალება და ეკლესიები აღავსო სიმდიდრითა.



მცენარეულობისაგან მომზადებული საჭმელი სასარგებლოა ჩვენი ტანმრთელობისათვის, თუ არა?

არის ზოგიერთი გონებითი ზნე-ჩვეულებანი, რომელიც ისე თან შეზრდილი გვაქვს ჩვენ, რომ მათი მოშლა შეუძლებელი ხდება. იმ ცნებათა შორის, რომელიც პატარაობიდანვე გვაქვს ჩანერგული გულში, მცირე ადგილი არ უჭერია იმ რწმუნებასაც, რომელიც საჭიროდ რაცხს ჩვენი ტანმრთელობისათვის ხორცეულობას. ხორცეული საჭმელების უბრყოფა ზოგიერთებს მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ, რადგან ვითომც, უთუოდ ასეთ საჭმელს მოითხოვს ჩვენი ტენის და სხეულის მოკმედება. სახელმძღვანელო წიგნები კაცის ტანმრთელობის შესახებ გვარწმუნებენ, რომ საშუალო კაცის საზრდოდ საჭიროა $\frac{3}{4}$ გირვანქა ხორცი ღვეში. ექიმები ამტკიცებენ, რომ ხორცი ადვილი მოსანელებელი, ნოყიერი და შეზომილია ჩვენ სხეულთანო. ისინი ამტკიცებენ, რომ ლიბონოვსკისგან გამოგონილი ხორცისაგან გამოწურვილი წვენი ფრიად სასარგებლოა და დიდი სარგებლობაც მოაქვს როგორც სიხსნაკლებ, ისე მოხუცებულთათვის, რომელნიც ამ საშუალების ხმარებით იძენენ ძალას და ტანმრთელობასო. მაგრამ არიან ბევრნი მსწავლულნი პირნი, რომელნიც უარსაჰყოფენ ხორცეული საჭმელების სარგებლობას ჩვენი ტანმრთელობისათვის. ასი ათასობით მოიპოვებიან პირნი, რომელნიც თავის ნებით და შეგნებით არ ხმარობენ ხორცეულობას. სამხლვარ-გარეთ, დიდს ქალაქებში არის გამართალი სახადილოები, რომლებშიაც მარტო მცენარეულობისაგან ამზადებენ საჭმელებს; არიან სკოლები, სადაც ყმაწვილებს უხსნიან მცენარეულობისაგან მომზადებული საჭმელების ხმარებას. ამავე დროს თან-და-თან ძლიერდება ის აზრიც, რომ ცხოველებს უფრო შებრალებია უნდა აღმოუჩინოთ. როგორც ხორცეულობის მქადაგებელნი აფუძნებენ თავიანთ აზრს მეცნიერებაზე, ისე ხორცეულობის წინააღმდეგნი.

შედარებითი ანატომიის მრავალი გამოჩენილი პირნი ამტკიცებენ, რომ თავის სხეულის შენებით კაცი უფრო ანლოს დგას ხორცის მჭამელ ცხოველებთანო, მაგრამ ამავე დროს ეს პირნი დიდ განსხვავებასაც ჰპოებენ კაცსა და ხორცის მჭამელ ცხოველებს შორის. როგორც ბალახის მჭამელ ცხოველებს ისე კაცსაც აქვს დაბურული წელი (СЛЪЗНАЯ БИШКА). ხორცის

მჭამელ ცხოველებს კი ეს წელი არა აქვსთ. სასაქმლო იარაღები ისეთივე აქვს კაცს, როგორც ბალახის მჭამელ ცხოველებს. კაცი სევას წყალს ტუჩითობით, ისე როგორც ბალახის მჭამელი ცხოველები, ხოლო ხორცის მჭამელი ცხოველები წყალს ენითა სელავენ. კაცი, როგორც ბალახის მჭამელი ცხოველები, ღვეს საჭმელს, ხოლო ხორცის მჭამელი ჰყლაპვენ ხორცის ნაჭრებს დაუღვეჭლად, და თუ გლვევენ, იმიტომ, რომ საყლაპავში ადვილად ჩაეტიოსთ ლუკმა. კაცს, როგორც ბალახის მჭამელ ცხოველებს, ოფლი ამოდის ტანიდან კანის უჩინარ მილებში—ნახვრეტებში; ხორცის მჭამელ ცხოველებს ეს მილები სრულებით არა აქვსთ კანში. კაცმა არ იცის ისეთი გაქცევა, რომ დაეწიოს მხეცს, არა აქვს მასს პრკყალები, არა აქვს ისეთი კბილები, რომ სტაცოს თავის მტერს, დააკავოს იგი და დაგლიჯოს ნაწილ-ნაწილად; ამისი არც სურვილი აქვს კაცს. კუჭი, მართალია, ხარშავს ხორცს, მაგრამ ამის გამო ავადმყოფობაც ბევრი სნდება კუჭში.

არავითარი დაბამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს დაჭეშმარიტებით ესთქვათ, რომ კაცის ბუნება მაინც და-მაინც ითხოვდეს ხორცეულ საჭმელს. ძუძუ გაშვებულს ყმაწვილებს უფრო უყვართ ფაფა, ვინამ ბულიონი, შემდეგ უფრო ეტანებიან ხილს, ნამცხვარს და ეძაგებათ ხორცეული საჭმელი, სანამ ამ საჭმელს ძალათი არ შეაჩვევენ მათ. ის კაცი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში უხმარია მარტო მცენარეულობისაგან მომზადებული საჭმელი, იქამდის ეჩვევა ხორცეულს, რომ ეს საჭმელი შემდეგში კიდევ ეძაგება მასს. უხსოვარის დროიდან მომდინარეობს ის აზრი, რომ ცხოველების საჭმელად ხმარება სინდისის წინააღმდეგია და მასთან კაცის ტანმრთელობისათვისაც ხორცეულობა საჭიროდ არ მიაჩნდათ. ზოროასტრი, ბუდდა, პიფაგორი, სოკრათი და სხვა მრავალი გამოჩენილი პირნი ძველის დროისა სრულებით არ სჭამდენ ხორცს. როცა ღმერთმა შექმნა ადამი და ევა, რქვა მათ: „აჰა მოგეც თქვენ ყოველი თივა სათესავი, მთესველი თესლისა, რომელ არს ზედა ყოვლისა ქვეყნისა და ყოველი ხე, რომელსა აქვს თავსა შორის თვისსა ნყოფი თესლისა სათესავი, თქვენდა იუოს საჭმელად“ (დაბ. თ. 1, სტრ. 29). და ხალხიც წარდენამდე (2262 წლის განმავლობაში) ხორცს არ ხმარობდა.

ისეთი ცხოველები, რომლებიც მარტო ცხოველების ხორცი იკვებებიან, ნაკლებად არიან ქვეყანაზე. ხორცის მჭამელი ცხოველები უფრო ცოტაა ქვეყანაზე, ვინც ბალახის მჭამლები. ღმერთმა მისცა კაცს გრძობა; თვითონ ბუნებას ჰკითხეთ, რა უჯობს კაცს საჭმელად? ხეხილის ბალი სასიამოვნოა თვალი-სათვის, ხოლო სასაკლავოები ფრიად საზარელ სურათს წარმოუდგენენ კაცის თვალს. ეს საზარელი სანახაობა თვითონ ზოგიერთ მეკასპეციალს ეზარებათ. როგორ შეგვიძლია უსაყვედუროთ ბუნებას, რომ მისგან მოცემული საზრდო არ ვარგა საჭმელად, თუ ამ საზრდოს სხვა თვალთ არ შევხედავთ?

ფიზიოლოგები ამბობენ, რომ ნორმალურ მდგომარეობაში კაცისათვის საჭიროა $\frac{3}{4}$ გირვანქა ხორცი. მაგრამ საზოგადოდ რომ ესთქვათ, ვინ სჭამს აძლენ ხორცს. კაცის მჭამლები და ისინი, რომელთათვისაც სადილად ყიდულობენ გირვანქა-ნახევარ ხორცს? ინგლისში, სადაც ყველაზე უფრო ხმარობენ ხორცს, თითოეულ კაცზე დღეში გირვანქის მეოთხედს დღივს მოუწევს; საფრანგეთში თითოეულ კაცზე მოუწევს მხოლოდ გირვანქის მწვედი. დიდ ქალაქებში კაცის თავზე მოდის დღეში: ლონდონში გირვანქის $\frac{3}{4}$, პეტერბურგში და მოსკოვში $\frac{1}{2}$ გირვანქა. პატარა ქალაქებში უფრო ნაკლებს ხმარობენ. მსწავლულთა გამომანგარიშებით გლეხებისათვის საჭიროა დღეში ერთი გირვანქა ხორცი და ორი გირვანქა პური. მაგრამ ანგარიში გვიჩვენებს, რომ გლეხი წელიწადში ხმარობს $\frac{25}{6}$ გირვანქა ხორცს და 339 გირვანქა პურს. მაშ თითოეულს გლეხს უნდება წელიწადში 339 გირვანქა პური და 219 გირვანქა ხორცი. კარგად რომ ვიანგარიშოთ გლეხზე, კიდევ უფრო ცოტა მოუწევს. გლეხი ძალიან ძვირად ხმარობს ხორცს. მარხვის დღეებში თვალითაც ვერ ხედავს ხორცს. თეხიც ძალიან ნაკლებად იშოვება და რაც იშოვება, იმასაც უფრო შეძლებულნი ყიდულობენ. რას ჭამს ჩვენი გლეხი მარხვაში? ლობიოს, ცერცეს, მუხუჯოს, ფხალს და სხვა-და-სხვა მწვანეღებულობას. არა თუ მარხვის დღეებში, ხსნილ-შიაც ჩვენი გლეხი კაცი კვირაობით ვერ შობს ხორცს. თუმც ეს ასეა, მაგრამ სოფლები გაცი-ლებით უფრო ტანმრთელნი არიან ქალაქელებზე. სად უფრო ბევრია მშენიერი და სიცოცხლით აღესალი მოხუცებულები? სოფლებში, თუ ქალაქებში? ბუდის აღმსარებელნი უმეტესად მარტო მცენარეულობისაგან მომხადებული საჭმლებით საზრდობენ; ზოგიერთი მწვალელებიც (СЕВЯНТЫ) არ ხმარობენ ხორცს.

(დასასრული შემდეგში).

ს ა ზ რ ა ლ ო ბ ე დ ნ ი ა რ ი.

შმთვარო ლამეა. ცა შაფი ღრუბლებითაა გადა-გრაგნილი და მრისხანედ გადმოცქერის დედამიწას. ჩამი-ჩუმიც არსაიღამ ისმის, გარდა გულ-შემზარავი შემოდგმის ცივის ქარისა, რომელიც საზარლად ზუ-ზუნებს და შიპქრალეებს ხეებიღამ ჩამოციფენ ულს გა-ყვითლებულს ფოთლებს. ჯოჯოხეთის სიბნელე ტრი-ალებს ირგვლივ, ყოველივე დაღუნებული, დამწუხ-რებულია. აედრის მომლოდინე დედამიწა, სამგლო-ვიარო ძაძაში გახვეული, რაღაც შესაბრალისს სურათს წარმოადგენს. ისეც ფერ-მიხდილი მისი სახე, ახლა სულ გაშავებულია, ჩათეთქილა. ის ისე მორჩილის, დამონებულის სახით შესცქერია ცას, როგორც ყურ-მოჭრილი ყმა თავის მრისხანე ბძანებელს, რომ-ლის ყოველგვარი სურვილების შესასრულებლად ის ძალა-უნებურად ქედ-მოხრილი და მზა დგას.

ხშირი ტყე, რომელიც ოცი ოც-და-ათის ვერსის სიგძე-სიგანეზე გადაშლილა, საშინლად ღელავს და ზმუის. ძლიერი ქარი, ეს სიჩუმისა და მყუდრო-ების დამრღვევი, ეს განუკითხველი და შეუბრალებე-ბელი ყოველივე სუსტისა და დაჩაგრულისა, საშინელის ძლევა-მოსილებით ებრძვის საცოდავს ტყეს. ხან იქით გადააწვენს, ხან აქეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დაუ-მონებია, ვერ დაუძალავს მავარი მუხის გულები. ბევრს ჩაატყრია მან თავ პირი, ბევრი დაჩაჩანაგა, ბევრს ძირეულად მოუღო ბოლო, მაგრამ ტყე მაინც არ ემონება, უძალდება, სანამ ჯანი და ღონე შერ-ჩენია. მისი კლდე გული არ უფრთხის არაგვარს უსამართლობას, ძალას. რიგზე და ერთმანეთის ფარად ჩამწკრივებული ხეები არ ებუებიან მათი მჩაგრელის არაფითარს სიმკაცრეს, სიბოროტეს. ეს ტყე არა თუ ლამით იყო საშიში, არამედ დღითაც-კი საზარელს სურათს წარმოადგენდა. თავისი ვეებერთელა და ხშირი მუხის ხეებით, რომლებიც თვალ-უწვდენს სი-მაღლესზე ამართულან და მედიდურის სახით გადმო-იცქირებიან იქიღამ, რაღაც უნებლიეს ყრკოლას გაგრძობინებდათ ტანში. მათის ხშირისა და გადაბ-მულის მტოებისაგან ცა სრულიად არა სჩნდა და მზის სხივს ძნელად რომ ოდესმე მასში ჩაეჭვრიტოს. ამიტომაც ამ ტყეს ქაჯეთის ტყეს ეძახდენ და მასზე ბევრი რამ საშიშარი გადმოცემა დადიოდა ხალხში.

თუმცა ასეთი იყო ეს ქაჯეთის ტყე, მაგრამ ამ შემადრწუნებელს ლამეში ერთი ნაბდნიანი კაცი თამამად მილიოდა მის წვრილსა და დაკლაკნილს ბილიკზე. ის ერთს წუთს შეჩერდებოდა, თითქო სული დაითქვარა, მოაველებდა ირგვლივ ცეცხლივით თვალებს და ისევ განაგრძობდა გზას. მიდის ვაჟკაცი და არაფრის რიდი, არაფრის შიში არ იტაცებს. უეცრივ მის წინ იღმუფლა რალაცამ და წყვილმა თვალებმა ბნელაში დაანათეს. ივლეებს მგზავრის თოფი და მხეცი უსულოდ დაეცემა ძირს. ვაჟკაცმა ისე ღინჯად გადააბიჯა მას თეხი და განაგრძო გზა, თითქო აქ არაფერი მომხდარიყო. ის მიდის ჩქარა, რამდენადაც კი შეიძლება და ნებას აძლევს მას ლამის სიბნელე. ერთხელაც არ წაფორხილებულა, ერთხელაც არ გადასცდენია ძლივს შესამჩნევს ბილიკს. ეტყობა, მისი თვალები დაცლილია ლამის წყვილიაღში. მგზავრმა უმატა ნაბიჯს. რალაც მოუთმენლობამ სულ-სწრაფობამ მოიკო მთელი მისი არსება. ცოტა კიდევ ის გავიდა ტყის განაპირას და ის დაადგა მოტიტელებულს მინდორს. ქარი არ ანებებს მას გზას, უწივის ყურებში და უბერავს ფეხებში, რომ არ მისცეს წინ ბიჯის წადგმის ნება, მაგრამ ვაჟკაცი არ ემორჩილება. მისი მაგარი წვივები ძლიერად აპობს აღვლელებულს, აზვირთებულს ჰაერს.

ცა უფრო და უფრო აბნელებს იქაურობას. მგზავრის ურჩობისაგან გაბრაზებული ბუნება უფრო სასტიკს წინააღმდეგობას უბირებს მას. მოისმა ჯერ ნელი, ძლივს გასაგონი გრგვინვა. შემდეგ იელა, იტეკა და სხვილმა შემოდგომის წვივამ ერთბაშად წაუშინა საბრალო მგზავრს ცხვირ-პირში. ვაჟკაცმა იფარა სახეზე ნაბადი და მიდის. ის არც ახლა შედრკა გულ-ქვა ბუნების წინაშე. მაგრამ აი, მისმა თვალებმა გაივლევს და გულმა საშინლად ცემა და უწყო. მან მიაშტერა თვალი სინათლეს, რომელიც მქრალი და რალაცა შესაბრალოსი სახით გამოსჭვიოდა თანჯარაში და წყვილიაღში ობოლი ვარსკვლავით ანათებდა. დიახ, ეს მისი გზის მაჩვენებელი იყო. ის თითქო იწვევდა ვაჟკაცს თავისაკენ, ანიშნებდა შორილგან გზას არ ასცდენოდა და პირდაპირ იქ მიემართა. დაუახლოვდა თუ არა, მგზავრმა უკლო ფეხის ხმას. სიფრთხილით მიადგამდა ნაბიჯს წინ და აღშფოთებულის, მოუსვენარის სახით იხედებოდა ყოველის მხრივ, რომ მცირე ხმაურობაზედვე მზად ყოფილიყო მტრის შესახვედრად. განა ვინ ჰყავდა

მტერი? ვინ იყო ისეთი უგულო, უსულო, რომ მისი ამდენი ტანჯვა-ვაება, მისი მწვავე მდგომარეობა არ ეგრძნო და არ შეპრალებოდა ამდენს გაწამაწიას გამოვლილი ვაჟკაცი?! ჰჰ! ვინ არ იყო მისი მტერი?! მას მტერი ყოველს ნაბიჯზე ჰყავს, ყოველს ადგილს და ყოველს კუნჭულში! საცა ჰაერი იყო, იქ მისი მტერიც იყო. ყველა მისი ორგულია, მისი სისხლის მსმელია! მხოლოდ ერთია მისი ერთგული, მისი მაცოცხლებელი, მისი მოსიყვარულე, რომელთანაც ის ახლა მიისწრაფის...

ვაჟკაცი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და დააყურა. ბაბიურცი არსაიღამ ისმოდა. მან ისევ ნელის ნაბიჯით განაგრძო გზა. ხელები უკანკალებს, მუხლებში მოუსხლტა, გულს ბგარუნი გააქეს, გონება ემღერევა. მაგრამ თავი შეიმაგრა. არ უნდა დაემორჩილოს ატეხილს მღელვარებას, სიძაბუნის თრთოლას, ლაჩრობა მის აგებულებაში არ სწერია. ის იღვალა გამბედაობის, უნიშრობის. ცოტა კიდევ და მან შევლო ჰიშკარი. ჰიშკარმა დაიჭრიალა, რომლის ხმაზეც ყვეფით გამოვარდა ოჯახის ერთგული მცველი. „სსუ, მურა!“ ნელის ხმით დაუძახა მან. ძალმა კული გაუქიცინა და გაიქცა წინ, თითქო უნდა მისწროს მასპინძელთან და ახაროს სანატრელი სტუმრის მოსვლა. ძალლის ყეფაზე ვილაცამ მცირედ გამოალო ოთახის კარი: «ვინა ხარ!» დაეკითხა ის წყნარად. მაგრამ ყმაწვილი უკვე ოთახში იყო. თითქო ფრთები შეისხაო. მან საჩქაროდ მიიხურა კარი და მოხვია ქალს ხელი: —«მე ვარ, ჩემო სულის-დგამე, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ნუგეზო, შენი გაუბედურებული... (გაუკითხაობით დაჩაგრული შენი)».

—გიორგი!.. მცირედ შეჭკივლა ქალმა, აღარ დაასრულებინა სიტყვა და გრძნობა-მიხდილივით მიესვენა ქმარს გულზე.

დიდხანს იყვნენ ცოლ-ქმარნი ამ გამოურკვეველს მდგომარეობაში. ისინი ბედნიერნი იყვნენ რამოდენიმე წუთით და სტკებოდნენ კიდევაც ამ ბედნიერებით. მაგრამ რისთვის იყო ეს ბედნიერება ასე საიდუმლოებით საესე? რატომ აერჩიათ მათ ამისათვის ეს უკუში, ჯოჯოხეთი ლამეჲ რა იყო მიზეზი, რომ ყველასაგან დაფარულად ეძღვოდნენ ერთმანეთის აღერსს და სხვებსავით გულ-უშიშრად და დამშვიდებით, ყველას გასაგებათ ვერ გაუბედნათ თავიანთი გრძნობების გამხელა?... განა არა ჰქონდათ მათ უფლება ასეთის ბედნიერებისა?... განა ისინი გამოორ-

ჩველნი იყენენ ქვეყნისაგან?.. განა ქვეყანა მათ არ სცნობდა თავის წევრად?.. მაშ რაღაზე შეეერთა ისინი ეკკლესიამ?.. რაღაზე ლოკულობდა მღვდელი მათ წინაშე «იყავნ კურთხეულ»-ო, თუ კი სამი თთვის უკან კაცს შეეძლო მათი გაყრა, გაშორება?!... რა იყო მიზეზი ასეთის უცნაურის სასჯელისა?.. ამ მიზეზის გამოკვლევა ძლიერ შორს წაგვიყვანს და ამისათვის ძოკლედ ვიტყვი.

ტიტოსია.

(შემდეგი იქნება).

მუთაისში ახლად დაარსებული საკვირაო სკოლის გამო.

ამას წინეთ „მწყემსი“-ს მკითხველებს ვაუწყებთ, რომ მუთაისში ნახევლი მანდილოსნების თაოსნობით იმართება საკვირაო სკოლა, რომელთაც მიზნად აქვს, რომ განურჩევლად წლოვანობისა უსასყიდლოთ ასწავლონ საღმრთო სჯული, ქართული და რუსული წერა-კითხვა და ანგარიში იმ პირებს, რომლებსთვისაც ბედს არ ურგუნებია შემთხვევა წერა-კითხვის ცოდნის შეძენისა. ეს ფრთხილ მოსაწონი განზრახვა ღვინი განათლებული ქალებისა უკვე განხორციელდა და 23 ამა თებერვლიდამ, ადგილობრივი სამღვდლოებისაგან ლოცვა-კურთხევის შესრულების შემდეგ, სკოლა გაიხსნა საქალაქო პირველ-დაწყებითი სასწავლებლის სადგომში, სადაც მიღებული არიან 42 მოწაფენი.

სკოლის კურთხევას დაესწრო სახალხო სკოლების დირექტორი ბ. ლივიცი და, გარდა ჩვენი, ეგრედ წოდებული ინტელიგენციისა, სხვა გარეშე მაყურებელნიც. კურთხევის დროს სიტყვა წარმოასთქვა დეკ. მ. ზ. საგარეიშვილმა და ბ. ლივიციმ, რომელშიაც მკაფიოთ განუმარტეს მოწაფეებს ის, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მათთვის ამ სკოლას და დასასრულ უფლოთადესი მადლობით მიმართეს ამ სასარგებლო საქმის მოთავეთ.

საკვირაო სკოლის დაარსება რომ მშვენიერი და სასიამოვნო საქმეა—ამას ყველა მიხედება, ვისაც კი იმის გაგება მაინც აქვს, რომ ღამეს დღე ჯობს, ბნელს ნათელი, სიბრმავეს თვალნილულობა. ამ კეთილ საქმეში უფრო ისაა საყურადღებო და სასიქადულო ჩვენთვის, რომ იგი გვიმტკიცებს ჩვენი ქალების გაღვიძებას, საზოგადო ასპარეზზე გამოსვლას და გონიერული უანგარო შრომის სარბიელზედ წინ ბიჯის წადგმას. ეს საქმე მით უფრო ქება-დიდებას შერავნდელით შეამკობს ამ ქალთა, რომ დღეს თითქმის ყოველ წრეში, ყოველს უწყებაში, ყოველს დასში ვაჟ-კაცთა ვხედავთ სრულს საღათას ძილს, გულცივობას და სასოწარკვეთილებას. მხედავთ, თითქმის, ყოველგან ერთსა და იმავე ჩვეულებრივს ჭაპანწყვეტას და დრტინვას ლუკმა პურისათვის და სხვა მდაბალი სურვილების დაკმაყოფილებისათვის...

და ამა, ესრეთ არა სანატრელს დროს გამოადის ქალი და აცხადებს, რომ მე მსურს უმეცარ მოძმეთა დახმარება უანგაროდ, ჩემის თავისუფალი სურვილით, ძალდაუტანებლად—მხოლოდ მისთვის, რომ ეს არის ყოველი ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება; მე მსურს ის სინათლე, რომელიც ჩემთვის მოუნიჭებია განათლებას, განუზიარო იმ დაბალ და შეუძლებელ ნაწილსაც ჩემ დაძმათა, რომელთაც ულონობის გამო არა აქვსთ შეძლება მისწვდენ და დაეწაფონ იმავე წყაროს, საიდანაც შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა იღებს სწავლა-მეცნიერებას.—გაუმარჯოს ამ ქალთა დიად საქმე მიზანს; ღმერთმა ინებოს, რომ ამ ორს და სამს მიჰყოლოდენ მრავალნი სხვანიც ამ კეთილ საქმეში თანამშრომლებათ; ღმერთმა ჰქნას, რომ მათი მოღვაწეობის სარბიელიც გაფართოებულიყოს ისე, რომ სამაგალითო საუფუძველი კეთილდღეობისა ქალაქიდგან გადასულიყოს დაბებში, სოფლებში და მოსდებოდეს მთელს ხალხს, როგორც ბრწყინვალე მნათობი წყედიალის გასანათლებლად. სხვა ბედნიერი დღე დაუდგება მაშინ ჩვენ ხალხს: რამდენსა ბრმას აეხილება თვალი, რამდენს ტანჯულს მოეწმინდება თვალზე ცრემლები, რამდენს


ამს რბილად ინტელიგენციისა და სკოლის დირექტორის

უნუგემოს აღევსება გული სასოებით და იმედებით!..

ძალი თვით ბუნებას შეუმცვია სწორეთ ნამდვილ სახალხო მასწავლებლათ: სიმშვიდე, სინათლე აზრისა, მღაბიო გასაგები გადაცემა, თავმდაბლობა, გულწრფელობა ყოველ საქმეში—ესეები უსათუოდ თავისთავად უკაფვენ მათ ხალხის გულთან ფართო გზას და წარმატებით აგვირგვინებენ მათ შრომას სახალხო განათლების ასპარეზზე...

მს ჩვენი ქალების მოღვაწეობის წინამორბედი არიან: მარიამ მტკიას ასული მარლოსანიძე, მერა ილაჩიონის ასული ჯაფარიძე და მარიამ ძონსტანტინეს ასული იოსელიანი.

ივანე კილაძე.



წერილი რედაქციისადმი

ძამა რედაქტორა!

უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემ მკირე წერილს თქვენს პატივცემულს გაზეთში.

თქვენი მტერია, ჩვენმა პატივცემულმა და გამოჩენილმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავგაყენა ჩვენ, სოფლის მასწავლებელი. საქმე იმაშია, რომ «დედა ენა» ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა ქართული ენისა პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის და ეს წიგნი იხმარება ყველა ქართულ სკოლაში. მაგრამ ამ წიგნის ასე ხშირად შეცვლამ ზღესწორებამ სწორედ საქმე გაგვიჭირა. თითქმის ყოველს წელიწადს ახალი გამოცემით გამოდის ეს წიგნი და ყოველთვის შესწორ-მემოსწორებულად; ასე რომ ერთი გამოცემა სრულიად აღარ უდგება მეორესა. ზოგში გამოშვებულია რამოდენიმე წინანდელი სტატიები, ზოგში კი ახლებია ჩამატებული და ზოგში იგივე სტატიები შეცვლილად არიან დაბეჭდილნი. რამდენი შეგირდია სკოლაში, თითქმის იმდენი სხვა-ღესვა გამოცემის წიგნები აქვთ და აქედამ ადვილი წარმოსადგენა, თუ რა გაჭირვებაში ვარდება მას-

წავლებელი. ერთის მხრით მან არ იცის როგორ მისცეს ყველა მოწაფეებს ერთნაირი გაკვეთილი (და ერთხმივი კითხვა ხომ შეუძლებელია?) და მეორეს მხრით კი ძნელია ყოველს წელიწადს აუიღვინოს მასწავლებელმა ყველა შეგირდს ახალ-ახალი წიგნი და ვერც შეძლება მისცემს ამის ნებას საწყალ გლეხებს. ამისათვის ვსთხოვთ ჩვენს პატივცემულ პედაგოგს გამოგვისწავს როგორმე ამ გაჭირვებისაგან; ან ჩვენ შეგვიბრალლოს და ან საწყალი მშობლების ჯიბე.

ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი კ. მ—ე.

მარხვა.

მარხვა მოვიდა უბიწო, განმწმედი სულის-გულისა, მომსპობი ავზორც-ვნებათა, მომკვრელი სინანულისა.

აჰა, განსწმიდე გონება, უარ-ჰყავ ბოროტ-ზრანვანი: გრწამდეს, რომ წმიდა მარხვისა ეგ არს პირველი საგანი.

ვაი მას, ვინაც არა სთვლის ცოდვათ, მისვან ქმნილს ცოდვასა, როგორც წურბელი არ იმლის, მოყვისს სისხლისა წოვასა.

ზოგი ხორცს არ სჭამს, მაგრამ ძმის ხორცი რომ სჭამოს, არა შურს! ეს ცოდვა არის, თუ მადლი,— ამის გარჩევაც არა სურს!

ძამა! რად შეფოთავ ამოდ, წარმავალია ყოველი! უკვდავი მხოლოდ სულისა— ნათლით მოსილი, ცხოველი...

რაყდენ სადამხელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც შევითქვით, ბათუმის მართლ-მადიდებელი ეკლესიის პირველ მღვდლად დაუნიშნავეთ მ. რალცევიჩი, მეორე მღვდლად მ. ივანიცკი და მესამე მღვდლად მედავითნის ადგილზე დაუნიშნავეთ ქართველი

* *

«მწყემსი»-ს რელაქცია უკვე შეუდგა ვენახის ობის და ნაცრის ექიმობის შესახებ დარიგების ბეჭდას. ამ დარიგებისა დაიბეჭდება ორი ათასი ცალი და ხალხს მუქთად დაურიგდება.

* *

სასინარულოდ, ამ ბოლოს დროს ჩვენში ძლიერ გავრცელდა მეფუტკრეობა. ყველამ იცის, თუ რა ცუდად ეპყრობიან ფუტკრებს პატრონები, როცა ამ უკანასკნელთ სურთ თაფლის გამოღება სკიდგან. მთელს სკას წყალში ჩაადგებენ, რომ ფუტკრები დაინოცოს და შერე თაფლს იღებენ. ახალი სისტემის სკები ჯერეთ კიდევ არ არის გავრცელებული სოფლებში, ამისათვის ამ ახალი სკების დასახედავად და მოსაპოებლად მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დ. ყვირილაში დეკ. დ. ლამბაშიძეს, რომელიც ახალი სისტემით აშენებს ფუტკრებს. მსურველთ აქვე შეუძლიათ მიიღონ ყოველივე დარიგება ფუტკრების მოვლის შესახებ.

* *

უმაღლესად ნება-დართულია, რომ ქუთაისის გუბერნიიდგან სამზღვარ-გარეთ გავიდეს ჩვენი სიმიდი.

* *

მოვიდა უმაღლესი გარდაწყვეტილება, რომლის ძალით ქუთაისში უნდა დაარსდეს სამეურნეო სკოლა.

* *

თებერვლის პირველს რიცხვებში სოფ. ცხრაწყაროს გარდაიცვალა გენერალ-მაიორი სპირიდონ ს. მაჭავარიანი, შობიდან 92 წლისა.

* *

22 თებერვალს თბილისში გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი თ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი. განსვენებულს 1859 წლიდან უკანასკნელს დღემდე დიდი თანამდებობის ადგილები ეჭირა საქართველოში.

როგორც ვაზეთი «ივერია» მოგვითხრობს, განსვენებულს ჰქონდა ყველა უმაღლესი ორდენები. ამ ბოლოს დროს განსვენებულს ებოძა თორმეტი ათასი დღიური მიწა ყუბანის მხარეში და 20 დღიური ნავთოსანის ადგილებისა ბაქოს ახლოს. განსვენებული ირიცხებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დამფუძნებელ წევრად და ყოველ წლივ ოც-ოცი მანეთი შეჰქონდა ამ საზოგადოების სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ამ საზოგადოებას დღეიდგან მოესპობა ეს ოცი მანეთი.

* *

ქუთაისში ამას წინედ გარდაიცვალა ერთი ღარიბი სომეხი, რომელმაც 400 მანეთი დასტოვა სასწავლებლებისა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ.

როგორც ვაზეთებიდან შევითქვით, ამას წინედ თბილისში გარდაიცვალა ერთი პათივცემული სომეხი, გვარად ფრიდონოვი, რომელმაც იმოდენი ფული დასტოვა, რომ ამ ფულის სარგებლით ყოველ წლობით უნდა იზრდებოდენ სასწავლებლებში 8 სომეხი, 4 ქართველი და 2 რუსი. სწორედ ფრიად დიდი ქუთის სასწავლებელი ფაქტია ეს ჩვენს ცნობერებაში.

* *

გურია-სამეგრელოის ეპარქიის, სენაკის მაზრის, ალავერდის საბლაღოჩინო ოლქის, ნაფიჩხოვოს წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის დიმიტრი ბერულავასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„მამა რექტორა! უმარჩილესად გთხოვთ თქვენა პათივცემული ვაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით ნება გვიბოძათ უგულდათადაცა მადლობა გამოუცხადოთ ჩვენი და ჩვენი მრევლის მხრით ქვემოთ სსენებულად პიხთა, რომელთა შემოსწავლას ჩვენდამი რწმუნებულს ახლად გაშტატებულ ფრიად ღარიბ ეკვლესიას უსაჭიროესი ნივთები და ფულები და მასთან გთხოვთ დაგობეჭდეთ შემწიველთა სიაც».

ზუგდიდის მაზრის სოფელ ხაბუას მცხოვრების უგანთლებულესი კონსტანტინე დადიანის პეუღას მათ დადიანის ასულას შემოსწავლას ბარძიმ-ფუშხუმი, ვანსკვლავი, აღსაზაგებელი, კოვჩი და ლახარა ვეცხლისა და ერთი წყვილი დრამა, დარეხუნი 6 წ მანეთისა.

ახლდ ათონის სიმონ კანანელის მონასტრის აჩქამანდრიტმა იერონიმე და ამ მონასტრის ძმათა შემოსწავლას

რეს: ერთი ხელი ყოველივე სამღვდელთა და სადიაკონთა შესამოსელნი, ტრახუნის და სამკვეთლას შესამოსელნი ყველანი წმიდა აბრეშუმისა, კრეტისაბმული აღსაყალ კარ-ზედ ბუდუსუასა. 3 წყვილი დაფარნა, 2 აბრეშუმისა და 1 ხაკერდისა და კიდევ 1 სასტუელი აბრეშუმისა, ღირ. 90 მანეთისა.

გოდოგანის შტატის ეკკლესიის მღვდელმა გიორგი ბერულავამ შემოსწირა: წმ. ოდიგი 1 მ., 1 ხელი ყოველივე სამღვდელთა შესამოსელი 15 მ. ერთი ხელი დაფარნა 3 მ. და 10 მანეთი ფული.

იმავე მღვდელმა გიორგი ბერულავამ და მისმა ძმებმა ბერულავებმა შემოსწირეს სახსარდ მათი დედამამის სულისა, რომელნიც ამავე ეკკლესიაში მარხიან, 1 ზანა 95 მან. და 1 სატი წმ. გიორგისა ღირ. 10 მან. სოხუმის ეპარქიის, ახუყვის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელმა იოანე ბერულავამ შემოსწირა: 1 დიდა სახარება მკარბის ხელობით შემოკრძადილი ტრახუნისათვის, ღირ. 10 მ. 1 ხელი სამღვდელთა შესამოსელი 13 მან., 1 ხელი დაფარნა 4 მანეთისა, და 1 წყვილი ძველი ბაიზალი 6 მან. გოდოგანის ეკკლესიის მღვდელთა სოფორნი ბერულავამ 5 მ., სალამე ბერულავას ასულმა 20 მ., მღვდლის სამონ ბერულავას ასულმა გაქანმა 3 მან., ჯურჯულ ეკკლესიის მღვდელთა ალექსი ბერულავამ 2 მ., ეგნატე მღვდლის ძემ ბერულავამ 1 მან., ანდრია ივანეს ძე ბერულავამ 1 მ., მკვაჭრე ზულე უტანას ძემ ბეჩამ 1 ღვთის-მშობლის სატი, ღირ. 3 მ., აზ. ალექსი ფინსიაიმ 5 მანეთი.

ამასთანავე უმჯობესად ვაძინებ შემოსვენებულ პატრიარქულ პირთა, რომ მათ ექნებათ ყოველ წარკაზმულ ამ ეკკლესიაში მოხსენება ადგილობრივი მღვდლისაგან.

* * *

მღვდლის პეტრე კვარაცხელიასაგან ჩვენ მივიღეთ გახეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

«მ. რ! უმჯობესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გახეთის „მწეპისა“-ს საშუალებით გუფითადი მადლობა შევსწირათ სოფ. ზუგდიდის მცხოვრებს აზ. თადეოზ ჰეპუს ძეს ჯიქიას, რომელმაც შემოსწირა ჩვენს ჯგაფის წმ. გიორგის ეკკლესიას საქარწინა გვირგვინი, ღირებული 8 მანეთად.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზედ.

რამი მდგომარეობს ჭკვიანი თავისუფალი ცხოვრება კაცისა?

წმიდა ეკკლესია ჩვენი ყოველს წლობით 19-თებერვალს ადასრულებს ხსენებას ვლენთა განთავისუფლებისას მებატონეთაგან, რომელიც ინება ნეტარ ხსენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ. ამისათვის ამა დღეს ოფითეულს ქრისტიანს წმ. ეკკლესია მოუწოდებს საფოცავად და მადლობის შესწირავად დვთისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაში რომ ეს მადლობა ჩვენი იქმნეს ჭეშმარიტი და დოცვა სასამოვნო დვთისათვის, რათა შევიქმნეთ ბედნიერი ამა ქვეყანაზედ და მომავალ საუკუნო ცხოვრებაში, საჭიროა ჭკვიანად ვისარგებლოთ იმ თავისუფლებით, რომელიც მოგვეცა ჩვენ დვთის მოწყალებით. რასა შინა მდგომარეობს ჭკვიანი და თავისუფალი ცხოვრება, რომლითაც კაცი მოიპოვებს დროებით და საუკუნო ნეტარებას? წმ. მოციქული პეტრე გვასწავებს, რათა ჩვენ, ვითარცა მონანი დვთისანი, ჩვენის ცხოვრებით ვსარგებლობდეთ თანახმად ნებისა დვთისა, უნდა ყოველთა პატივის-ვსცემდეთ, ძმათა ვუვარობდეთ, დვთისა გვემინოდეს და მეფესა პატივის-ვსცემდეთ — (1 პეტრ. 2. 17). ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება მდგომარეობს დვთის ღმ ხელმწიფის კანონთა ადასრულებაში ღმ საზოგადო პატიოსან კეთილ ცხოვრებაში.

კეთილი და პატიოსანი კაცი ადასრულებს კანონს დვთისას არა ძალდატანებით, არამედ სიყვარულისა გამო, რომელიც არის ჭეშმარიტი თავისუფლება კაცისა წინაშე დვთისა.

კეთილი ღმ პატიოსანი კაცი არს მორწმუნე, მორჩილი მვილი ხელმწიფისა და სამშობლოსა; იგი ადასრულებს კანონს ხელმწიფისას

სიყვარულითა და საზოგადო სიკეთეს ემსახურება ერთგულად, რომელიც შეიცავს ჭეშმარიტ და ჭკვიან თავისუფლებას კაცისას წინაშე ხელმწიფისა და საზოგადოებისა.

გაცი პატიოსანი სცხოვრებს წმ. სინიდიისთა, რომელიც გამოინაშტება მასში, რომ სული მისი თავისუფალია ბოროტ გულისთქმათა და ცუდთა ჩვეულებათაგან. ასე უნდა ცხოვრებდეს თვითთელი ქრისტიანი. შენ, მიწის მუშაკო! სიზარმაცით ნუ აკეთებ შენს მინდორს, ეცადე პატიოსანი შრომით შეიძინო, რაიცა შენთვის საჭიროა ცხოვრებისათვის; მოუწოდებდე ღმერთს შენის შრომის კურთხევისათვის; თუმცა იქმენ ღვთისაგან ნაკურთხი კარგის მოსავალითა, ანუ შეიძინე მომეტებული გრამი, ადიდებდე ღმერთს წმიდითა გუდითა და ნუ გაფანტავ მისგან მონიჭებულს მოწყალებას ღოთობაში და სხვა ცუდ საქმეებში, არამედ მოინმარდე მას სასარგებლო და საჭირო საქმეებზე: გამშვენებისათვის ტაძრისა, სწავლისათვის უმაწვილთა, სასარგებლოდ ღარიბთ მოძმეთა შენთა და შენის ოჯახური მდგომარეობის გამშვენებისათვის.

მაცადინობ ვინმე ვაჭრობითა? ეცადე არ მოატყუვილო და არ აწყენინო არავის, მოიქცეოდე წმ. სინიდიისთა.

დადგენილხარ ვინმე უფროსად? ეცადე სიყვარულისა გამო უყოფდე კეთილს შენს ხელქვეითთა, ეცადე არ აწყენინო უბრალო და პატიოსან ხალხს, მოიქეცი მართმსაჯულად და სინიდიისთ: შენის ჯინიანობით და ჯიუტობით ნუ დასჩაგრავ პატიოსანთა ხელქვეითთა შენთა, თქვენ, ხელქვეითნო! პატივსცემდეთ მეუფროსეთა თქვენთა და კეთილ სინიდიისანთ ადასრულებდეთ მათ ბრძანებას.

თქვენ, პატიოსანნო მშობელნო! აჩვენებდეთ შვილთა თქვენთა მაგალითს უოველივე კეთილისას; მიარჩიეთ ისინი კეთილ ცხოვრებას და მიშა შინა ღვთისა აღზრდიდეთ მათ; შეგემთვათ რაიმე მწუხარება, აიტანდეთ მას ღვთის უსაყვედუროდ; იუვნით მაცადინი მოინანოთ ცოდვანი თქვენნი და განამშვენებდეთ თავსა თქვენსა კეთილითა საქმითა.

აი როგორ უნდა სარგებლობდეს თვითელი ქრისტიანი თავისუფალი ცხოვრებითა!

უოვლად მოწყალე ღმერთი მუდამ მზათაა მოგვივლინოს ჩვენ ქვენიური და საუკუნო სიკეთენი; ცანი და ქვეყანა შორის ჩვენსა მოჭფენენ სიკეთეს და თითქო ხმითა მათის შემქმნელისა გვიწოდებენ ჩვენ ნეტარებისა და სინარულისადმი. გარნა სინარუდნი ღმ სიკეთენი ესე ჩვენ არ მოგვეცემის, თუმცა ჩვენ თვით არ მოვინდომებთ მათდამი მიდწევნას ჩვენის მოვადეობის ადასრულებით და მით არ ვისარგებლებთ ჭკვიანად. —

ოდესმე ებრე თა ხალხს, განთავისუფლებულს ეგვიპტის მონებისაგან, ღმერთმა მისცა მოსე წინასწარმეტყველის ხელით სჯული თვისი; ხალხი იგი მაშინ იყო კეთილდღეობაში, ოდესცა წმიდათ ადასრულებდა მცნებასა ღვთისასა; ხოლო ოდესცა მოიქცეოდა თავის ნებაზე, მაშინ ღმერთი ჩაგდებდა მათ სხვა-ღმ-სხვა უბედურებაში.

აი რასა შინა მდგომარეობს ჭეშმარიტი თავისუფლება. ნებაყოფლობითი ცხოვრება გაცხ განშორებს ღვთისაგან და განდის მას მონად ცოდვისა და ეშმაკისა; ხოლო ვინც ემორჩილების ცოდვას და ეშმაკს, იგი თითქო განძრანვით განემზადების დროებითი და საუკუნო ტანჯვისათვის.

ამისათვის საჭიროა, რომ თვითთელი ქრისტიანი იქმენ თავისუფალი, ვითარცა მონა ღვთისა, უოველთა პატივს-ჰსცემდეს, ძმათა ჰყვარობდეს, ღვთისა ეშინოდეს და მეფესა პატივს-ჰსცემდეს.

ბლალჩინი მღვ. ი. ჭერევილი.

მოთხრობა ერთიმ ლურსმანზე, რომლითაც მიჭედლი იყო ჯვარზე იესო ქრისტე.

(დასასრული *)

შემდეგი ცნობები ამ წმ. ლურსმის შესახებ მოგვყავს ყაზანის ფერის-ცვალების მონასტრის არქიმანდრიტის პლატონის თხზულებიდან, რომელიც გამოცემულია 1782 წელში.

აი რას მოგვითხრობს ეს არქიმანდრიტი: «წმ. ლურსმანი, რომლითაც მიმსჯელობდა იყო ჯვარზე წმ. გვამი იესო ქრისტესი მოტანილ იქმნა ყაზანში. იმერეთის კეთილმსახურმა მეფე არჩილ ვახტანგის ძემ, როცა ის წამოვიდა იმერეთიდან მოსკოვს, თან მოიტანა ლურსმანი მაცხოვრისა ჩვენისა და ინახავდა თავის სასახლის ეკლესიაში. ამ კეთილი-მსახური მეფის არჩილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლამ, კეთილმსახურმა დედოფალმა ეკატერინამ ეს წმიდა ლურსმანი გაგზავნა იმერეთში ორი მღვდელმონაზონის პაგკრატის და არსენის ხელით. ამ მღვდელმონაზვნებს თან გამოჰყვავთ ყაზანამდის მეფის დესპანი არტემი პეტრეს ძე ვოლინსკი, რომელიც მეფის ბრძანებით მიდიოდა პერსიაში. ვოლინსკი მთელი ზამთარი დარჩა ყაზანში და გვაცნობა, რომ ქრისტეს ლურსმანი რუსეთიდან მიჰქვსო და მასთან განაცხადა, რომ მეფის ბრძანებით ეს წმიდა ლურსმანი უნდა გადაეცეს ყაზანში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ტიხონს, მიტრაპოლიტს ყაზანისა და სვიატსკისას, სანამ ამის შესახებ იგი არ მიიღებს უქაზს. მიტრაპოლიტმა ტიხონმა მეფის უქაზის მიღების შემდეგ თავის საცხერებელი სახლიდან გამოიტანა ეს წმიდა ლურსმანი ფერისცვალების საკრებულო ტაძარში წირვის დაწყებამდე. შემდეგ ეს წმიდა ლურსმანი და დედოფლის ეპისტოლე შენახულ იქმნა მიტრაპოლიტის სადგომში. შემდეგ 21 მაისს (1716 წელში), სული წმიდის დღეს, როდესაც წმ. ეკლესია დღესასწაულობს წმ. ჯვრის და ლურსმების მნახველ კეთილმსახურ და მოციქულთსწორ მეფეების ხსენებას, წირვის შემდეგ მიტრაპოლიტი გამოვიდა საკურთხეულიდან შემოსილი და ტრაპეზიდან გამოასვენა ეს წმიდა ლურსმანი ეკლესიაში. ლურსმანი ესვენა თავზე, წინ მოუძღოდნ საცეცხლურით, სანთლებით ტრიპილით; შემდეგ ეს ლურსმანი დაასვენა ამბიონზე მომზადებულს საწიგნზე, რომელზედაც ევარა ოდიკი, რომ ხალხს უფრო ადვილად შეძლებოდა ამ წმ. ლურსმანის ხილვა და ბრძანა გადაეხადათ სამადლობელი პარაკლისი».

ამა 1716 წელსა აპრილის 13 დღესა მიტრაპოლიტმა ტიხონმა მიიღო ყაზანის კანცელარიისაგან თვითონ გუბერნატორის პეტრე სამოელის ძის სალტიკოვის ხელით უქაზი ღიდის ხელმწიფისა პეტრე ალექსიძის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა.

პირი უქაზისა:

«უფალს უსამღვდელოესს ტიხონს, ყაზანისა და სვიატსკის მიტრაპოლიტს.

ამა 1716 წელსა, აპრილის 13 დღესა სახელმწიფო კანცლერის გრაფის გაბრიელ ივანესძის გოლოვინის წერილში, რომელიც მიწერილი იყო ყაზანში მახლობელი ბოიარინის და ყაზანის გუბერნატორის პეტრე სალტიკოვისადმი. სწერია: ყაზანიდამ 25 იანვრის დღესა სწერდა მასს უფალი ვოლინსკი, რომ მან მიიღო წერილი მოსკოვიდან მოსკოვის სალდესპანო კანცელარიის მდივნებისაგან. ამ წერილით მაცნობეს მე, რომ იმერეთის დედოფალმა წმ. ლურსმანი უფლისა, რომელიც მათ ჰქონდათ სახლში, გაგზავნა თავის სამშობლოში ბერის ხელით, რომელიც მოსკოვიდან წამოვიდა ჩემთან ერთად, ხოლო დედოფლის წერილებისა გამო მე ხელახლად დაებრუნდი მოსკოვში, ხოლო ზემოდ აღნიშნული ლურსმანი ნივთებით დაფუტოვე თქვენს მეუფებას, და მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ გვებრძანა, რომ ჩვენ უქაზით გამოგვეცხადებია ეს თქვენი მეუფებისათვის, რათა ზემოდ აღნიშნული ლურსმანი თქვენს მეუფებას არ მიეცა არც ბერისთვის და არც სხვა ვინმესათვის, არამედ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ბრძანებამდე შეგენახათ იგი თქვენ სიწმიდით. მართლაც, ამ უქაზის ძალით ეს წმიდა ლურსმანი ინახებოდა ყაზანის ღეთის-მშობლის ტაძარში».

ეს წმ. ლურსმანი უფლის ჯვრისა, როგორც სჩანს ზემოდ მოყვანილ ცნობებისაგან, დაცული ყოფილა ყაზანის ღეთის-მშობლის საკრებულო ტაძარში ხელმწიფის შემდეგი უქაზის მიღებამდე, რომლის ძალით ეს წმ. ლურსმანი ხელახლად გადატანილ იქმნა მოსკოვის მიძინების ტაძარში, რომელშიაც დღესაც ასვენია ეს წმ. ნაშთი. როგორც მოგვითხრობს ისტორიკოსი ბროსე, მოსკოვის მიძინების ტაძრის სალაროში დღესაც ინახება პატარა კილობანი, რომელიც მოამზადა ამ წმ. ლურსმის ჩასასვენებლად საქართველოს მეფე დავითმა, დედოფლის რუსუდანის ძემ. ამას ამტკიცებს ქართული ზედწარწერა, რომელიც არის ყუთზედ.

გ. სამაგლეოვი—იკუჭიელი.

სასარგებლო ცოდნა.

როგორ უნდა დაიკიდოს წარა?

1) წარა უნდა ჩამოტვიდონ ისე, რომ დასჯი-
ლებული არ უნდა იყოს კოჭსე. კოჭსა და წარას შუა
უნდა იყოს მინსლკებით ორი გოჯა, თუ წარა ძალიან
დიდია, მაშინ წარასა და კოჭს შუა უფრო მომეტეუ-
ლი ადგილი უნდა იყოს დატოვებული, რომ წყის
დრას წარას თავისუფლად შექმლას წწყვა.

2) წარა უნდა ჩამოტვიდონ სწორად თანაზონ
შემწეობით, ისე რომ წარის ენადამ წარას ერთ ნა-
ბიანდის იმედენი ადგილი იყოს, რომედენიც მუარე
კუთხემდის. უმისოდ ერთ ნაბიანზე ძნელი იქნება შე-
მოკვრა, ხალხი მუარე ჩამოტვი უფრო ადვილია. თუ
კოჭის რომელიმე თავის დაიწია, წარას დასაკიდებელი
მაშინვე უნდა გასწორდეს, უჯლის ქვეშ უნდა შეუდ-
კათ რკინის სელი.

3) ენა წარაში ისე უნდა იყოს ჩამოკიდებული,
რომ მისი ქვემო თავი სტემდეს შიდაბიარ წარის
გვერდს, სდაც უფრო სქელია წარა, არც შემოთ და
არც ქვემოთ; უმისოდ წარას ხმა სსაიმოვნო არ
იქნება და წარაც გატუდება. თუ ენას დასაკიდებელი
თანამ დაიწია, მაშინვე უნდა გასწორდეთ ენას დასა-
კიდებელი ისე, რომეარც შემოთ არის ნათქვამი.

4) წარა უნდა დაიკვრას სწორად; წინააღმდეგ
შემთხვევაში ძლიერი შემოკვრას დრას უფრო რახუნი
მოისმის, ვინე გუგუნი და წარაც შეიძლება გასჭდეს,
რადგან ძლიერი შემოკვრას დრას გახუჭდება, განსა-
კუთრებით ეინვის დრას.

5) ორივე მხრით წარას დატყვა შეიძლება მაშინ,
თუ წარა იწონის 120 ფუთზე მეტს და ენაც მუარე
ჩამოკიდებული; წინააღმდეგ შემთხვევაში რეკა კმკვანება
უფრო ნაბათის დაკვრას, და მანუელიც უფრო ძალიან
გახუჭდება.

საექვე კითხვების განმარტება.

ა) ამა მიმდინარე წლის ორი მარტი შეხვდება დიდმარ-
ხვის შესამე კვირის ორშაბათს. როგორ უნდა შეასრულოს
მღვდელმა ამ დღეს ღვთის-მსახურება—უახვებით, თუ წირვით და
რომელი წირვით?

ეს კითხვა, თითქმის, განმარტებულია უწმიდესი
სინოდისაგან გამოცემული ტაბელით, რომელშიაც
არის ნათქვამი, რომ ღამის თევით ცისკარი უნდა
ასრულებულ იქმნეს იმ დღის წმიდანზე საზოგადო
თვენის ტიბიკონის ღამატებით, და შემდეგ წირვისა
უნდა გარდახდეს იქმნეს პარაკლისის განსაკუთრებული
წიგნით ამ დღისა მუხლ-მოღრეკით. წირვა უნდა
აღსრულდეს პირველ შეწირულისა. (იხილეთ ნიკოლ-
სკის ტიბიკონის სახელმძღვანელო, გვერდი 149).
მაგრამ ჩვენ შეგვინიშნავს, რომ ზოგიერთ ადგილას
იოანნე ოქროპირის წირვას ასრულებენ ხოლმე. ტა-
ბელში მოხსენებულია, რომ, თუ გვირგვინოსნება
ანუ ტახტზე ასვლა შეხვდეს პირველ კვირიაკეში, მა-
შინ წირვის და პარაკლისის გარდახდა გადიდვას კვი-
რისათვისაო, დიდმარხვის სხვა შეიღვეულ დღეებში
დამთხვევის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი.
ამისათვის ზოგან ოქროპირის წირვას ასრულებენ.

ბ) ამ წელში დიდმარხვის პირველ კვირიაკეში შეხვდა
ცნამეტი თებერვალი. როგორ უნდა შესრულებულიყო სინო-
დის უქაში ამ დღეს წირვისა და პანაშვილის გარდახდისა, რო-
დესაც პირველ შეწირულზე გარდაცვალებულის მოხსენებას არ
ურჩენს და პანაშვილის გარდახდა სრულებით წესაო არ არის
პირველ კვირიაკეში?

აღსრულება სინოდის უქაშისა ადვილად შესაძ-
ლებელია, რადგან პირველ შეწირულის წირვაზე
სრულებით აღკრძალული არ არის გარდაცვალებუ-
ლის მოხსენებელი «შევიწყალენის» თქმა. თუ
შესაძლებელია «შევიწყალენის» თქმა, რასაკვირვე-
ლია, სრულებით წინააღმდეგი არ იქნება პანაშვილის
გარდახდა წირვის შემდეგ. ტიბიკონით აღკრძალულია
პანაშვილის გარდახდა პირველი კვირიაკის პარასკე-
ვამდის მხოლოდ შესამე და მეცხრე დღის მოხსენე-
ბანი თუ შეხვდენ. ორმოცისკი პარასკევამდისაც რომ
შეხვდეს, უთუოდ იმ დღეს უნდა აღსრულონ, როდეს-
საც შეხვდება. რაიცა შეეხება საზოგადოდ დიდი ხნის
გარდაცვალებულთათვის პანაშვილის გარდახდას, ეს
ყოველთვის შეიძლება.

გ) საუბრელონიან თუ არა ზოგიერთი მღვდლის უარის
ყოფა ორ ნაცოლვე პირთა სტოროჯებათ ეკლესიებში მიღების
შესახებ?

თუ ორი ნაცოლვეის პრინციპიკად მიღება
შეიძლება, რასაკვირველია, რომ სტოროჯათ ყო-
ველთვის შეიძლება ორ ნაცოლვეთა მიღება.

რედაქციის პასუხი.

ო. ს. ს. მოწაფეს დ. გ.—ნს ქართულიადამ არის გადმოკეთებული, თურუნულიადამ? თუ თქვენი ნაწარმოებია, რა საფრთხილოა ხელის მოწერა? ისე ეს ცნობები და თქვენი „ვედრება“ არ დაიბეჭდება.

მღვდელს მ. კე—ძეს. თქვენ მიერ გამოგზავნილი ქებით საესე ნეკროლოგი თქვენი სიტყვით თურთ არ იბეჭდება. თქვენ ამას წინედ მიიხარით, რომ განსვენებულმა ზ. უ. დიდი საფასო საეკლესიო მამული მიისაკუთრაო. ესლა მანც როგორ ვერ ჩააგონეთ, რომ დაებრუნებია ეკლესიისთვის უსამართლოდ მითვისებული მამული? თქვენ, ნაცვლად ამისა, აქებთ და აღიდებთ. რადგან მას ოთხი ქვევა მამულის მაგიერ ასი მანეთი შეუწირავს ეკლესიისათვის.

მღვ. დავით ლეშაშელს. ვიდრემის თქვენს სტატიას მივიღებდით, მანობამდე მავე საგანზედ სხვისგან მივიღეთ სტატია, რომელიც კიდევ დაიბეჭდა ამავე ნომერში. ქვემარტივად ძლიერ სუსიამოგნო არის, რომ ჩვენი მოძიებები, სოფლის მღვდლები, არა მარტო გაწეთის კითხვას შეეჩვიენ, არამედ თვითონ იწყეს მონაწილეობის მიღება ღირსეულად რეალს შრომაში. ღმერთმან ინებოს, რომ ჩვენს მოძიებებში უფრო გავლიძებულიყო ეს კეთილი გრძნობა.

მღვდელს სამ. შე—ნას. მეტრიკის წიგნის პირველი ნაწილის მიხედვით ხანში მომბლები უნდა ამოწმებდენ დაბადებულის და მონათლულის ჩაწერის სინამდვილეს. ასე განმარტა ამ ცოცხა ხანში ეს კითხვა სინოდის კანტორამაც.

მღვდელს მ. გა—გს. თქვენი წერებით: „გთხოვთ როგორმე მაღირსოთ ამ გამოგზავნილი ლექსის წაკითხვა თქვენს გამოცემაში“. თუ ასე მოუთმენილად გსურსთ მისი წაკითხვა და შვიი არ დაგრჩენიათ, იმის გაზეთში დაბეჭდვამდე იქნება ბევრი დრო გავიდეს და საუმჯობესოდ დავინახეთ, წელნაწერი დაგებრუნოთ უკანვე მალე, რომ წაკითხვით რამდენჯერმე და სურვილი აისრულოთ...

ქ—ნს ს. იოს. ასულს. რასაც თქვენ იწერებით, იმის ასრულება არა თუ შეიძლება, არამედ, დიდი ხანია, სინოდის და სინოდალნი კანტორის უქაზებით ფიცხლად არის აღკრძალული. ამისთვის მათი განმარტება საჭირო არ არის.

შეწირულება.

დავით ზღმა შენებელის საქართველოს განსახ. ლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბას მოსამბებლად ჩვენ მივიღეთ სოფლის ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისაგან 12 მ. და 16 კ. აქვე ვბეჭდავთ შემწირველთა სიას:

მედავითნემ ევგენ სალადემ და მისმა ცოლმა მინადორამ 1 მ., სტაროსტა სპირიდონ ჭანკოტაძემ 1 მ., სტაროსტა გიორგი არსენაშვილმა 20 კ., აზ. ლევან ვახტანგის ძე ჩხეიძემ 40 კ., გიგო ყანჩაველმა მისი მიცვალეულთათვის 1 მ., ყაფლამ ყანჩაველის მეუღლა ოლღამ 20 კ. აზ. როსტომ დავითის ძე ჩხეიძემ 40 კ. ქვრივმა მიხაილ ყანჩაველისა ევდოკიამ 1 მ., აზ. იოსებ ნიკოლოზის ძე ჩხეიძემ 20 კ., რაფიელ და გიორგი ყანჩაველმა 30 კ., ლავრენტი ყანჩაველმა 20 კ. სერაპიონ ყანჩაველმა 15 კ., სიკო ყანჩაველმა 40 კ. სოფრომ ყანჩაველმა 20 კ., ბესარიონ ყანჩაველმა 20 კ., პართენ ყანჩაველმა 30 კ., სამსონ გიორგის ძემ ყანჩაველმა 20 კ., ქვრივმა მარიამ მაჭავარიანისამ კროჭმა 20 კ., სპირიდონ იესეს ძემ ამილახორმა 50 კ., იაკობ ჭანკოტაძის ქვრივმა 1 მანეთი, მონაზონმა თინათი გოგოლიძის ასულმა 20 კ., თეიმურაზ კვანტრეშვილმა 10 კ., გლახინა ჭანკოტაძემ 10 კ., ლეონტი ჭანკოტაძის ქვრივმა 5 კ., ბერო ჭანკოტაძემ 20 კ., ნიკიფორე კვანტრეშვილმა 20 კ., ალექსი იესეს ძე კვანტრეშვილმა 5 კ., გლახინა კვანტრეშვილმა 10 კ., დიმიტრი უფლისას ძე კვანტრეშვილმა 5 კ., ბერო კვანტრეშვილმა 11 კ., ვახუშტი კვანტრეშვილმა 10 კ., პავლე ქუსლადემ 20 კ., თევდორე კანჩაძემ 20 კ., პავლე ბოლოჩაძემ 5 კ., ლუარსაბ ყანჩაველმა 5 კ., მიხაილ კანჩაძემ 10 კ., ბესარიონ გიორგის ძემ კვანტრეშვილმა 10 კ., ბიჭია კვანტრეშვილმა 10 კ., ბიჭია ქუსლადემ 20 კ., იგორ ქუსლადემ 20 კ.

შინაარსი: ჩვენი დროის მუქთამჭამლები. — მკითხველთა და მგალობელთა საყურადღებოდ. „მწიქმსი“-ს კორრესპონდენცია ფოთიდან. — დროების ფასი. — თამარ მეფე. — მცენარეულობისაგან მომზადებული საქმელი სასარგებლოა ჩვენი ტანმრთელობისათვის თუ არა? — საბარლო ბედნიერი. — ქუთაისში ახლად დაარსებული საკვირაო სკოლის გამო. — წერილი რედაქციისადმი. — სადიდმარგო (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები. — სასარგებლო ცოდნა. — საქველ კითხვების განმარტება. — რედაქციის პასუხი და შეწირულება.